# საქართველოში ინგლისური ენის სწავლების სტრატეგია ზოგადი განათლებისთვის 2022-2030

პოლიტიკის დოკუმენტი მომზადებულია ბრიტანეთის საბჭოს მიერ "ინგლისური მომავლისთვის" პროექტის ფარგლებში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით

www.britishcouncil.org

# სარჩევი


3 ცხრილების ჩამონათვალი

3 გრაფიკული გამოსახულებების ჩამონათვალი

3 აკრონიმები და აბრევიატურები

4 1. შესავალი და წინაპირობები

4 2. კონტექსტი და საფუძველი

4 2.1 გეოპოლიტიკური კონტექსტი

5 2.2 განათლება საქართველოში

5 2.3 არსებული მდგომარეობისა და გამოწვევების ზოგადი მიმოხილვა

7 2.4 ინგლისური ენა საქართველოში

7 3. ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების (SWOT) ანალიზი

12 4. საქართველოში ინგლისურ ენასთან დაკავშირებული ხედვა

12 5. მიზნები

13 6. დეტალური მიზნები

13 6.1 მიზანი 1: სწავლა-სწავლების გარემოს გაუმჯობესება

17 6.2 მიზანი 2: მოსწავლეების ინგლისური ენის კომპეტენციების გაუმჯობესება დაწყებითი და საშუალო განათლების ბოლოს (განხორციელებული ენის ფლობის საერთო ევროპული ჩარჩოს (CEFR) მიხედვით)

20 6.3 მიზანი 3: მასწავლებელთა სწავლების უნარ-ჩვევებისა და მეთოდების გაუმჯობესება

29 6.4 მიზანი 4: მასწავლებელთა ინგლისური ენის ცოდნის გაუმჯობესება (განხორ-ციელებული ენის ფლობის დონის საერთო ევროპული ჩარჩოს (CEFR) მიხედვით)

31 6.5 მიზანი 5: დიდი და მცირე მიღწევების სკოლებს შორის განსხვავების შემცირება - სოფლებისა და ეთნიკური უმცირესობის სკოლები მოსწავლეთა შედეგების მიხედვით უთანაბრდებიან ქალაქის სკოლებს.

33 7. შეზღუდვები

33 8. დასკვნა

34 გამოყენებული ლიტერატურა

## ცხრილების ჩამონათვალი


**ცხრილი 1.** მოსწავლეების რაოდენობა განათლების ყველა საფეხურზე.
**ცხრილი 2.** ინგლისური საქართველოში, ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების (SWOT) ანალიზი.


## გრაფიკული გამოსახულებების ჩამონათვალი


**ნახაზი 1:** მასწავლებელთა კომპეტენციის, სასწავლო გარემოსა და მოსწავლეთა შედეგების ურთიერთმიმართება
**ნახაზი 2:** სასწავლო გეგმის, შეფასებისა და შედეგების ურთიერთმიმართება ინგლისური ენის დონეებზე
**ნახაზი 3:** სასწავლო გეგმის, სწავლების მეთოდებისა და შეფასების ურთიერთმიმართება
**ნახაზი 4:** შემოთავაზებული CEFR კომპეტენციები მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის
**ნახაზი 5:** ბრიტანეთის საბჭოს უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) სტრუქტურა
**ნახაზი 6:** მასწავლებლის შედეგების ურთიერთმიმართება
**ნახაზი 7:** ინგლისური ენის მასწავლებლის მომზადების პროგრამაში ინგლისური ენის კომპეტენციის განვითარების პროცესი


## აკრონიმები და აბრევიატურები

| | |
|---|---|
| AA/DCFTA | ასოცირების ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცეს |
| BC | ბრიტანეთის საბჭო |
| CEFR | ენის ფლობის დონის საერთო ევროპული ჩარჩო |
| CELTA | სხვა ენაზე მოსაუბრეთათვის ინგლისური ენის სწავლების სერთიფიკატი |
| CLIL | ენისა და საგნობრივი შინაარსის ინტეგრირებული სწავლება |
| CPD | უწყვეტი პროფესიული განვითარება |
| CSSF | დიდი ბრიტანეთის კონფლიქტების, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ფონდი |
| ELCE | სამოქალაქო განათლება და ტექნოლოგიები ინგლისური ენის გამოყენებით |
| ELT | ინგლისური ენის სწავლება |
| ETAG | საქართველოს ინგლისური ენის მასწავლებელთა ასოციაცია |
| HE | უმაღლესი განათლება |
| ICT | საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები |
| INSETT | ინგლისური ენის მოქმედ მასწავლებელთა ტრენინგი |
| MCCP | ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის პროექტი |
| NSM | ახალი სკოლის მოდელი |
| NAEC | შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი |
| PISA | მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა |
| PRESETT | ინგლისური ენის სტუდენტ მასწავლებელთა მომზადების პროგრამის სტუდენტების ტრენინგი |
| QA | ხარისხის უზრუნველყოფა |
| SE | სპეციალური განათლება |
| SWOT | ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები |
| TEFL | ინგლისურის, როგორც უცხო ენის, სწავლება |
| TIMSS | მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლა-სწავლების საერთაშორისო კვლევის ტენდენციები |
| TLG | ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად |
| TPDC | მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი |
| VET | პროფესიული განათლება |

# 1. შესავალი და წინაპირობები

ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლებისა და მეცნიერების სისტემის უზრუნველყოფა არის საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი და აღიარებულია, როგორც ქვეყნის განვითარების ქვაკუთხედი. ბოლო წლების განმავლობაში საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია განათლებისა და მეცნიერების სისტემის რეფორმის მიმართულებით, რათა იგი შეესაბამებოდეს მსოფლიოს სწრაფად ცვალებად მოთხოვნებს და კონკურენტუნარიანი იყოს საერთაშორისო პლატფორმაზე.

საფუძვლიანი რეფორმების მიუხედავად, განათლების ხარისხის, მომზადების დონისა და თანაბარი ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით მაინც მრავალი გამოწვევა არსებობს. განათლების სტრატეგიული პრიორიტეტები მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა განათლების პროგრამების შესაბამისობა შრომის ბაზრის ამჟამინდელსა და სამომავლო მოთხოვნებთან, სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა, განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ყველა დონეზე, დასაქმებასთან დაკავშირებული პროფესიული მომზადება, უმაღლესი განათლების (HE), მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების კავშირი ქვეყნის ეკონომიკის მდგრად განვითარებასთან.

საქართველოს მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს განათლების ინტერნაციონალიზაციას და თვლის, რომ ეს დიდ გავლენას მოახდენს საქართველოში განათლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. განათლების მინისტრის განცხადებით, განათლების ინტერნაციონალიზაციის, განათლების შრომის ბაზართან დაკავშირებისა და ტექნოლოგიურ ცვლილებებზე რეაგირების ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენს ქართველი მოსწავლეების ინგლისური ენის ცოდნის მაღალი დონე განათლების ყველა საფეხურზე.

ზემოთ აღნიშნული გამოწვევებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა შეიმუშაოს ინგლისურის სწავლების სტრატეგია ზოგად განათლებაში, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ქვეყანა აკმაყოფილებდეს ინგლისური ენის ცოდნის ამჟამინდელსა და სამომავლო მოთხოვნებს და ახორციელებდეს საგანმანათლებლო სისტემების შესაბამის რეფორმებს. ამ ინიციატივის წარმატებით განხორციელების მიზნით განათლების მინისტრმა თხოვნით მიმართა ბრიტანეთის საბჭოს, დაეხმაროს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგად განათლებაში ინგლისური ენის სწავლების სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავებაში.

# 2. კონტექსტი და საფუძველი

## 2.1 გეოპოლიტიკური კონტექსტი

საქართველოში 3,9 მილიონი ადამიანი ცხოვრობს და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი გეოგრაფიული და პოლიტიკური ადგილმდებარეობა უკავია აზიური და ევროპული კულტურების გზაჯვარედინზე. ჩრდილოეთით არის რუსეთი და მისი გავლენა, დასავლეთით – თურქეთის გავლენა. საქართველო ისწრაფვის მეტი ევროპული ინტეგრაციისა და ევროპასთან სტრატეგიული ურთიერთობებისკენ. საქართველო პრიორიტეტული ქვეყანაა ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში. უფრო მეტიც, 2014 წლის ივნისში ევროკავშირმა და საქართველომ ხელი მოაწერეს ასოცირების ხელშეკრულებას, რომელიც მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცეს (AA/DCFTA). შეთანხმებამ მნიშვნელოვნად გააღრმავა პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირები ევროკავშირთან აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში. საქართველო არის დიდი ბრიტანეთისა და ნატოს სხვა ქვეყნების პარტნიორი უსაფრთხოების სფეროში ავღანეთსა და ცენტრალურ აფრიკაში თანამშრომლობისთვის. ხანგრძლივი გადაუჭრელი ტერიტორიული კონფლიქტები საქართველოში, კერძოდ, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ნიშნავს, რომ ქვეყანაში ყოველთვის არის არასტაბილური მდგომარეობა; სტაბილურობის მოპოვება მთავარი საზრუნავია და რისკი არ მცირდება.

## 2.2 განათლება საქართველოში

ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლებისა და მეცნიერების სისტემის უზრუნველყოფა არის საქართველოს მთავრობის ერთ–ერთი მთავარი პრიორიტეტი და აღიარებულია, როგორც ქვეყნის განვითარების ქვაკუთხედი.

ბოლო წლების განმავლობაში საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია განათლებისა და მეცნიერების სისტემის რეფორმის სფეროში. ქვეყანამ განახორციელა მრავალი რეფორმა, რომელიც მიზნად ისახავდა პოსტსაბჭოთა განათლების სისტემის გარდაქმნას და ახალი სისტემის შექმნას, რომელიც შეესატყვისება სწრაფად ცვალებად მსოფლიო მოთხოვნებს და კონკურენტუნარიანი იქნება საერთაშორისო პლატფორმაზე.

საფუძვლიანი რეფორმების მიუხედავად, განათლების ხარისხის, მომზადების და თანაბარი ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით მაინც ბევრი გამოწვევა არსებობს. განათლების სტრატეგიული პრიორიტეტები მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა განათლების პროგრამების შესაბამისობა შრომის ბაზრის ამჟამინდელსა და სამომავლო მოთხოვნებთან, სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა, განათლების ხელმისაწვდომობა და მისი ხარისხის გაუმჯობესება ყველა დონეზე, დასაქმებასთან დაკავშირებული პროფესიული მომზადება, უმაღლესი განათლების, მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების კავშირი ქვეყნის ეკონომიკის მდგრად განვითარებასთან.

---

## 2.3 არსებული მდგომარეობისა და გამოწვევების ზოგადი მიმოხილვა

ზოგადი განათლება საქართველოში მოიცავს 12–წლიან სწავლებას და ხორციელდება სამ საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო). დაწყებითი განათლება მოიცავს 6–წლიან სწავლებას, I–VI კლასები; საბაზო განათლება მოიცავს 3 წელს, VII–IX კლასები; ხოლო საშუალო განათლება მოიცავს 3 წელს, X–XII კლასები. დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა. ზოგადი განათლება სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ ქვეყანაში მოქმედ 2085 საჯარო სკოლაში.

**ცხრილი 1. მოსწავლეების რაოდენობა განათლების ყველა საფეხურზე**

ბავშვების რაოდენობა, რომლებიც არ დადიან სკოლაში (2016):




2019/20 სასწავლო წლის განმავლობაში საქართველოს სკოლებში (დაწყებითი და საშუალო საფეხურები) დაახლოებით 6,500 ინგლისური ენის მასწავლებელი იყო.

ზოგადი განათლების ხარისხი, განსაკუთრებით მოშორებულ რეგიონებში, დაბალია. ქალაქისა და სოფლის მოსწავლეებს შორის არსებული სხვაობა ჩანს ეროვნული გამოცდებით და საერთაშორისო შეფასებებით, როგორიცაა მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების საერთაშორიო კვლევის ტენდენციები (TIMSS) და მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა (PISA). ხელშემწყობი ფაქტორებია მასწავლებელთა კვალიფიკაცია, მათ შორის საგნის ცოდნა და პედაგოგიური კვალიფიკაცია, მასწავლებლებისთვის უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) ეფექტური სისტემის დანერგვა.

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მეშვეობით, ჩაატარა ძალზე მნიშვნელოვანი ღონისძიებების სერია, რომელიც მიზნად ისახავდა ხელმისაწვდომობის, ეფექტურობისა და ხარისხის გაზრდას განათლების ყველა საფეხურზე. მრავალი მცდელობა იყო ყველა პრობლემის გადასაჭრელად ისეთ სფეროებში, როგორებიცაა ეროვნული სასწავლო გეგმის რეფორმა, სასკოლო სახელმძღვანელოების ხარისხი და უმაღლესი განათლების დამოუკიდებლობა. ხშირი ცვლილებები მუდმივად ამწვავებდა ზოგიერთ პრობლემას, დაკავშირებულს დაუსრულებელ ინიციატივებთან, თანმიმდევრულობასა და მდგრადობასთან.

საქართველოს მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს განათლების ინტერნაციონალიზაციას და თვლის, რომ ეს დიდ გავლენას მოახდენს საქართველოში განათლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. განათლების მინისტრის განცხადებით, ქართველი მოსწავლეების ინგლისური ენის ცოდნის უფრო მაღალი დონე განათლების ყველა საფეხურზე არის ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს განათლების ინტერნაციონალიზაციას, აკავშირებს განათლებას შრომის ბაზართან და რეაგირებს ტექნოლოგიურ ცვლილებებზე.

## 2.4 ინგლისური ენა საქართველოში

საქართველოში ინგლისური ენა დიდი პოპულარობით სარგებლობს. ახალგაზრდები, როგორც ჩანს, განსაკუთრებით მოტივირებულნი არიან ინგლისურად ისაუბრონ და ყველა შესაძლებლობას იყენებენ, განავითარონ თავიანთი უნარები. ყველა მასწავლებელი, სკოლის დირექტორი, მეცნიერი, მშობელი მიიჩნევს, რომ ინგლისური ძალიან მნიშვნელოვანია მომავალი დასაქმებისთვის, გლობალიზაციისთვის და ინფორმაციის მისაღებად. შვილებისთვის შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით, მშობლები, რომლებსაც აქვთ საფასურის გადახდის შესაძლებლობა, თავიანთ შვილებს აგზავნიან ინგლისურენოვან კერძო სკოლებში, ინგლისურენოვან ცენტრებში ან რეპეტიტორებთან. უნივერსიტეტში შესვლისას მოსწავლეების ინგლისური ენის ცოდნის დონე არის A1-დან B2-მდე. მნიშვნელოვანი განსხვავებაა მოსწავლეების ცოდნის დონეებს შორის ქალაქებსა (განსაკუთრებით თბილისში) და რეგიონებში. B1 დონის მოსწავლეების მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათი 95% არის თბილისის ცენტრიდან.

ეფექტური კომუნიკაციის შესაძლებლობა ინგლისურ ენაზე და ინფორმაციული ტექნოლოგიის ცოდნის მაღალი დონე არის ძირითადი კრიტერიუმები – საქართველოს სავაჭრო, ბიზნესის და საბანკო სექტორებში დამსაქმებლებისთვის. ტურიზმი და ტურიზმთან დაკავშირებული ბიზნესი ეკონომიკის 30% -ს შეადგენს, სადაც ინგლისური ენა აუცილებელია. უმუშევრობა, განსაკუთრებით კურსდამთავრებულთა უმუშევრობა, საქართველოში მაღალია და ამიტომ კონკურენცია თანამდებობებზე უმაღლესი განათლების მქონე ადამიანებისთვის ძალიან მაღალია, რაც ინგლისური ენის ცოდნას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ინგლისური ენის კურსები შეტანილია საუნივერსიტეტო და პროფესიული საგანმანათლებლო კურსების 1-ლ და მე-2 წელს და გრძელდება სპეციალური სექტორული მოდულების სახით მე-3 და მე-4 წლებში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მიიჩნევს, რომ ინგლისური ენის ცოდნა არსებითი უნარია ქვეყნის ახალგაზრდებისთვის. სამინისტრომ 2011 წელს მეორე ენის სავალდებულო სწავლა პირველი კლასიდან შეიტანა და აქტიურად ცდილობს გაუმჯობესოს ინგლისური ენის სწავლა-სწავლება საჯარო სკოლებსა და უმაღლესი განათლების სისტემაში. ქვეყნაში არსებობს ინგლისური ენის ცოდნის მოთხოვნილება, დიდი ბრიტანეთი კი განიხილება, როგორც სწავლა-სწავლების ხარისხის მხარდაჭერის საუკეთესო წყარო. ინგლისურად თავისუფლად საუბრის დონე დაბალია – მოსახლეობის დაახლოებით 60% ინგლისურ ენაზე ცუდად საუბრობს ან სრულებით არ იცის ენა (კავკასიის ბარომეტრი, 2015). ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის პროცესი ძლიერდება და ყველა სახელმწიფო დაწესებულების დღის წესრიგში დგას მოთხოვნა მაღალ სტანდარტსა და უფრო მჭიდრო საერთაშორისო თანამშრომლობაზე ინგლისურის მეშვეობით. თუმცა, სახელმწიფო საგანმანათლებლო სისტემაში ინგლისური ენის სწავლების უზრუნველყოფა მხოლოდ ნაწილობრივ პასუხობს ინგლისური ენის ცოდნის რეალურ მოთხოვნილებას.

აქედან გამომდინარე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ზოგად განათლებაში ინგლისურის სწავლების სტრატეგიის შემუშავების შესახებ, როგორც ეს განხილულია წინა თავში.

# 3. ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების (SWOT) ანალიზი

ეს სტრატეგია შემუშავდა დისტანციური კონსულტაციისა და სამაგიდო კვლევის ანალიზის საფუძველზე. ჩატარდა გასაუბრებების სერია დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრთან და შესწავლილ იქნა დოკუმენტები. ამ პროცესის შედეგად ჩატარდა SWOT (ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობების და საფრთხეების) ანალიზი. ცხრილი 2 ასახავს SWOT ანალიზის შედეგებს.

**ცხრილი 2. ინგლისური საქართველოში, ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების (SWOT) ანალიზი**

| კომპონენტი | ძლიერი მხარეები | გამოწვევები | შესაძლო გადაწყვეტა, მიმართულებები |
|---|---|---|---|
| **ინგლისური ენის სტუდენტ მასწავლებელთა მომზადების პროგრამაზე მოსწავლე სტუდენტთა ტრენინგი (PRESETT)** | • მოქნილი, არა ხისტი<br>• მიმართული უფრო კომპეტენციებზე, ვიდრე წინასწარ დადგენილ შინაარსზე | • სტუდენტებს ერთსა და იმავე დაწესებულებაში შეიძლება ჰქონდეთ სხვადასხვა საჭიროება<br>• ისინი არ ესწრებიან მეცადინეობებს სრულად – აქვთ ყოველდღიური სამუშაო – ამიტომ მათი ყურადღება გაყოფილია<br>• სხვადასხვა ინსტიტუტებმა შეიძლება არ უზრუნველყოს ერთნაირი სტანდარტი | • კომპეტენციების სტრუქტურის გაძლიერება<br>• სტუდენტებისთვის ფინანსური ან სამუშაო ადგილზე დახმარება |
| **ინგლისური ენის მოქმედ მასწავლებელთა ტრენინგი (INSETT) და უწყვეტი პროფესიული განვითარება (CPD)** | ბევრი არაჩვეულებრივი ინიციატივაა | • ინიციატივები არ არის სტანდარტიზებული / სისტემატიზებული<br>• ხშირად არ ფასდება საჭიროებები<br>• სკოლის ხელმძღვანელობა შეიძლება ყოველთვის არ უწყობდეს ხელს<br>• შეიძლება არ იყოს / აკლდეს ხარისხის უზრუნველყოფა<br>• არ არის მორგებული კონკრეტულ საჭიროებებზე<br>• არ არის დაკავშირებული მასწავლებლის კომპეტენციებთან<br>• არ არის თანაბრად ხელმისაწვდომი ყველასთვის, ვისაც ეს სჭირდება. | • CPD ინიციატივების შესაბამისობა PRESETT ინგლისური ენის მასწავლებლის კომპეტენციებთან<br>• სკოლის ხელმძღვანელობის CPD–ის განხორციელება<br>• სკოლებისა და ახალი სასკოლო მოდელის ეფექტური ხარისხის (QA) უზრუნველყოფა რესურს–ცენტრების საშუალებით<br>• საჭიროებების შეფასება და მათზე ორიენტირება, ვისაც ყველაზე მეტად სჭირდება CPD, მათზე მორგებული მიდგომით<br>• ეფექტური ონლაინ CPD შესაძლებლობები<br>• INSETT და CPD ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავების კონცეფციების გაგებას |
| **მასწავლებლის მოტივაცია** | ზოგიერთი მასწავლებელი ძალიან მოტივირებულია და მუდმივად მზად არის, იმუშაოს სწავლების პრაქტიკის გაუმჯობესებისთვის | მასწავლებელთა უმეტესობას არ აქვს მოტივაცია და / ან მხარდაჭერა, რომ ჩაერთონ CPD–ში ან იპოვონ სწორი CPD მათი საჭიროებების შესაბამისად, ან ისწრაფოდნენ სწავლების პრაქტიკის გაუმჯობესებისთვის. | • სკოლაზე დაფუძნებული CPD–ის გაუმჯობესება და უფრო საინტერესოდ წარმართვა;<br>• მენტორობისა და მსგავსი პრაქტიკის მქონე პროფესიული საზოგადოების მუშაობის გამოცდილების დანერგვა<br>• ხარისხის უზრუნველყოფა და გაკვეთილზე დაკვირვება, რაც დაკავშირებულია კარიერულ წინსვლასთან (და არა მხოლოდ ტრენინგ კრედიტებთან) |

| კომპონენტი | ძლიერი მხარეები | გამოწვევები | შესაძლო გადაწყვეტა, მიმართულებები |
|---|---|---|---|
| **მასწავლებლის ინგლისური ენის დონე** | ზოგიერთ მასწავლებელს ინგლისური ენის ცოდნის ძალიან მაღალი დონე აქვს | ბევრ მასწავლებელს, განსაკუთრებით სოფლად, ინგლისური ენის ცოდნის დაბალი დონე აქვს | ინგლისური ენის ცოდნის გაუმჯობესების პროგრამების შეთავაზება |
| **სასწავლო მასალა** | • ამჟამინდელი მაკმილანის სახელმძღვანელო იყენებს კომუნიკაციურ მიდგომას<br>• მასწავლებლები წახალისებული არიან, სწავლებისთვის გამოიყენონ მათ მიერ არჩეული დამატებითი რესურსები | ზოგიერთი ინგლისურენოვანი საერთაშორისო სახელმძღვანელო სწავლების კომუნიკაციურ მეთოდზეა აგებული, მაგრამ არ არის მორგებული საქართველოს კონტექსტს და არ ასახავს მოსწავლეების ყოველდღიურ რეალობას; შესაბამისად, არ იძლევა ავთენტური კომუნიკაციის პრაქტიკის შესაძლებლობებს. | • კლასში გამოყენებული ყველა სასწავლო მასალის მიმოხილვა და ძირითადი გამოწვევების დადგენა<br>• მასწავლებლების მომზადება საკუთარი სასწავლო მასალების შემუშავებისთვის, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად |
| **ონლაინ / ელექტრონული სწავლება** | • შესანიშნავია, რომ ეს შესაძლებლობები ვითარდება, მათ შორის ბრიტანეთის საბჭოს პლატფორმა<br>• ზოგიერთი მასწავლებლისთვის, შესაძლოა, CPD უფრო ადვილი იყოს ინტერნეტით, ვიდრე ტრენინგზე სხვაგან წასვლა | • ზოგიერთ მასწავლებელს (და მოსწავლეს!), შესაძლოა, ელემენტარული ციფრული უნარ-ჩვევებიც კი არ გააჩნდეს და ადგილობრივად მხარდაჭერაც არ ჰქონდეს<br>• მოშორებულ ადგილებში, შეიძლება, შეზღუდული იყოს ინტერნეტ კავშირი | • CPD უნდა ითვალისწინებდეს ICT უნარების გაუმჯობესებას<br>• ტექნიკური / მობილური / ინტერნეტის ხელმისაწვდომობისა და გამოყენების / უნარების სიტუაციური ანალიზის ჩატარება და შესაბამისი ტექნოლოგიების რეკომენდირება |
| **შეფასება** | არ გამოიყენება მაღალი ხარისხის განმსაზღვრელი შეფასება, რაც ხელს უწყობს არასასურველ, „ტესტისთვის სწავლის“ მიდგომის გამოყენებას | • რეგულარული<br>• საკლასო / განმავითარებელი შეფასების სისტემის ნაკლებობა<br>• მასწავლებლებს არ გააჩნიათ განმავითარებელი შეფასების გამოყენების უნარი<br>• არ არსებობს სტანდარტიზებული შეფასება მოსწავლეებისთვის CEFR-ის A2 ან B1 დონის განსაზღვრისთვის დაწყებითი და საშუალო სკოლის დასრულებისას | • განმსაზღვრელი შეფასების განხილვა და ხელახალი შემუშავება (წლის ბოლოს / სასკოლო გამოცდების ბოლოს)<br>• CPD-ში შეფასების ფორმების (განმავითარებელი, საკლასო, შეფასება სწავლისთვის, ასევე განმსაზღვრელი შეფასება) ჩართვა. |

| კომპონენტი | ძლიერი მხარეები | გამოწვევები | შესაძლო გადაწყვეტა, მიმართულებები |
|---|---|---|---|
| **ცენტრალიზებულის დეცენტრალიზებულთან და სისტემატურის სტანდარტიზებულთან შედარება** | როგორც ჩანს, განათლების სისტემა საქართველოში გონივრულად დეცენტრალიზებულია – ეს იძლევა საშუალებას, სისტემა იყოს მოქნილი ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მისაღებად და ჰქონდეს ინკლუზიური და თანასწორუფლებიანი განათლების პოტენციალი. | • სკოლის ხელმძღვანელებს სჭირდებათ მეტი ტრენინგი, რომ შეძლონ ასეთი გადაწყვეტილებების მიღება<br>• სისტემები და სტანდარტები უნდა განმტკიცდეს, რათა ადგილობრივად განხორციელდეს ინდივიდუალური მიდგომები, სტანდარტების დაქვეითების გარეშე | • CPD სკოლის ხელმძღვანელებისათვის, რომ ხელი შეუწყონ მასწავლებელთა განვითარებას მთელი წლის განმავლობაში და უზრუნველყონ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მუშაობა სკოლებში<br>• კომპეტენციის მტკიცე სტანდარტების შემუშავება მკაფიო კრიტერიუმებითა და ინდიკატორებით |
| **ხარისხის უზრუნველყოფა** | ინდუსტრიაში უამრავი გამოცდილი და გამჭრიახი პროფესიონალია. მათ შეუძლიათ შექმნან ხარისხის უზრუნველყოფის ახალი სისტემის ბირთვი. | სკოლის დონეზე ხარისხის უზრუნველყოფის თანმიმდევრული სისტემისა და მხარდაჭერის ნაკლებობა | • ამისთვის საუკეთესო არხების შესწავლა. არსებობს თუ არა სკოლის კლასტერები? ადგილობრივი რესურცენტრები მასწავლებლებისთვის?<br>• შეიძლება თუ არა მათ ითანამშრომლონ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან (TPDC), რათა მოაწყონ გარე დაკვირვებები და განვითარების ხელშეწყობის მიზნით ვიზიტები, რომლებიც შეესაბამება CPD პროგრამას?<br>• მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემებით მონიტორინგი და შეფასება სწავლების პრაქტიკაში და არა უბრალოდ ტრენინგების რაოდენობის აღრიცხვა.<br>• ხარისხის უზრუნველყოფის სისტემამ ასევე მონიტორინგი უნდა გაუწიოს მასწავლებელთა მიერ განვითარების გეგმების შესრულებას |

| კომპონენტი | ძლიერი მხარეები | გამოწვევები | შესაძლო გადაწყვეტა, მიმართულებები |
|---|---|---|---|
| **კერძო რეპეტიტორი** | ბევრ მოსწავლეს აქვს კერძო რეპეტიტორის აყვანის შესაძლებლობა ინგლისური ენის ცოდნის გასაუმჯობესებლად | • ყველას არ აქვს ამის შესაძლებლობა – არ არის თანასწორუფლებიანი<br>• ეს აქვეითებს სკოლის პრესტიჟს<br>• უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტების დაბალი დასწრება<br>• ამძაფრებს სხვაობას ცენტრალურსა და რეგიონულ / ქალაქის და სოფლის სკოლების სასწავლებლებს შორის | აქ განხილული პრობლემების მოგვარებასთან ერთად ეს საკითხიც გამოსწორდება. |
| **ინკლუზია** | სპეციალური განათლების (SE) რამდენიმე არსებული შესანიშნავი პროგრამა როგორც ახალი სკოლის მოდელში, ასევე ძირითად სკოლებში | • შეზღუდული შესაძლებლობები / სპეციალური განათლება (SE) – არ არის საკმარისი დამხმარე სკოლებში, მასწავლებლებს სჭირდებათ ტრენინგი მასალების ადაპ ტაციისთვის<br>• ენობრივი უმცირესობები – ზოგადად, განათლების დონე უფრო დაბალია მარგინალურ თემებში, რადგან ამ თემებში მასწავლებლებისა და უნივერსიტეტის კურსდამთავრებულების ნაკლები რაოდენობაა, ახალგაზრდებს უმაღლესი განათლების (HE) მიღების ნაკლები შანსი აქვთ.<br>• სქესი – განათლების სისტემა არ არის დაბალან სებული, რადგან მასწავლებელთა 95% -ზე მეტი ქალია | • არსებული სპეციალური განათლების (SE) პროგრამების მხარდაჭერა – როგორც ინტეგრირებული, ასევე ცალკეული რესურსცენტრების მიერ.<br>• სპეციალიზებული მიზნობრივი დახმარება სოფლის / ენობრივ უმცირესობათა სკოლებისათვის, საჭიროებების შეფასების საფუძველზე<br>• მასწავლებლის პროფესიის წახალისება |
| **სოფლისა და ქალაქის სკოლების შედარება** | ქვეყნის შედარებით მცირე მოცულობა და სკოლების მცირე რაოდენობა საშუალებას იძლევა (გარკვეული ძალისხმევით), სოფლის / მოშორებული რაიონების / უმცირესობათა ყველა სკოლაში შეტანილი იყოს კარგად დაგეგმილი სასწავლო პროგრამა | მნიშვნელოვანი სხვაობა მასწავლებლების ინგლისური ენის ცოდნის დონესა და სტუდენტების შედეგებში | მიზნობრივი მხარდაჭერა რესურსებით, ICT-ით, ტრენინგებით და CPD-ით (Hayes, 2014) |

ეს სტრატეგია მიზნად ისახავს ეფექტური გზების გამონახვას ცხრილში მოცემული პრობლემების მოსაგვარებლად.

## 4. საქართველოში ინგლისურ ენასთან დაკავშირებული ხედვა

1. გრძელვადიანი ხედვა: საქართველოში ყველა ადამიანს შეუძლია ინგლისურ ენაზე კომუნიკაცია.
2. შუალედური ხედვა: საქართველოში ინგლისური ენის სწავლება არის ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომი, მაღალი ხარისხის და ინკლუზიური.

## 5. მიზნები

შუალედური და საბოლოოდ გრძელვადიანი ხედვის განხორციელების მისაღწევად ინგლისური ენის სწავლებისთვის საქართველოში დადგენილია შემდეგი ზოგადი მიზნები:

1. სწავლა-სწავლების გაუმჯობესებული გარემო: ინგლისური ენის სწავლება საქართველოში უფრო მეტად არის მოსწავლეებზე ორიენტირებული, ინკლუზიური, იყენებს შესაბამის სასწავლო გეგმას, შეფასების სისტემებსა და სასწავლო მასალებს.
2. ინგლისურის კომპეტენციის გაუმჯობესებულ დონეს მოსწავლეები აღწევენ დაწყებითსა და საშუალო დონეზე. სტრატეგიის განხორციელების შუალედურ პერიოდში (ფაზა 1 — 2025 წლისთვის) მოსწავლეები საშუალო სკოლის ბოლოს მიაღწევენ ენის ფლობის დონის საერთო ევროპული ჩარჩოს (CEFR) B1 დონეს. გრძელვადიან პერსპექტივაში (ფაზა 2 — 2030 წლისთვის) კი საშუალო სკოლის ბოლოს მოსწავლეები CEFR-ის B2 დონეს მიაღწევენ.
3. ინგლისური ენის გაკვეთილებზე სწავლების ხარისხისა და მეთოდების გაუმჯობესება განათლების ყველა საფეხურზე. ყველა მასწავლებელი გამოცდილია და უმეტესწილად იყენებს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მეთოდებს, რომლებიც მიმართულია ინგლისურ ენაში მოსწავლეების საკომუნიკაციო უნარების განვითარებაზე. ყალიბდება უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) სისტემა.
4. მასწავლებლების ინგლისური ენის კომპეტენციის დონის ამაღლება. შუალედურ პერიოდში (ფაზა 1), მასწავ-ლებლები მიაღწევენ ენის ფლობის დონის საერთო ევროპული ჩარჩოს (CEFR) B2 დონის კვალიფიკაციას. გრძელვადიან პერიოდში (ფაზა 2 — 2030 წლისთვის), პედაგოგები მიიღებენ CEFR-ის C1 დონის კვალიფი-კაციას.
5. სხვაობის შემცირება მაღალი მიღწევებისა და დაბალი მიღწევების მქონე სკოლებს შორის – სოფლის სკოლები და ეროვნულ უმცირესობათა სკოლები მოსწავლეების შედეგებით ეწევიან ქალაქის სკოლებს.

ეს მიზნები პირდაპირ უკავშირდება საქართველოს ერთიანი განათლების სტრატეგიის 2017-2020 წლების შემდეგ მიზნებს:

1. მაღალი ხარისხის ზოგადი განათლების თანაბარი და უნივერსალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
2. განათლების ხარისხის გაუმჯობესება განათლების შემდეგ ეტაპზე გადასვლის შესაძლებლობების გაზრდისთვის, სკოლის მოსწავლეებში ეფექტური უნარების განვითარებისა და უკეთესი აკადემიური შედეგების მისაღწევად;
3. საგანმანათლებლო გარემოს გაუმჯობესება;
4. სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებლების მოტივაციისა და ეფექტურობის გაზრდა;
5. ზოგადი განათლების ყველა საფეხურზე ეფექტური მართვის სისტემის შემუშავება.

2022-2030 წლების საქართველოს ერთიანი განათლების სტრატეგიის შემუშავება დასრულდება 2022 წელს. ზოგად განათლებაში ინგლისური ენის სწავლების ეს სტრატეგია არის თანმიმდევრული და მოქნილი, რაც მას საშუალებას მისცემს, შეესაბამებოდეს ახალ სტრატეგიას მისი ამოქმედების შემდეგ.

საქართველოში ზოგად განათლებაში ინგლისური ენის სწავლების სტრატეგია ემყარება საგანმანათლებლო კომპო-ნენტების შემდეგ ძირითად მოსაზრებებსა და თანმიმდევრულობას. ამ მოსაზრებებს ადასტურებს განათლების კვლევა მსოფლიოში, მათ შორის, მაგალითად, კლინტონი და სხვ. (2016), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) (2009) და Canh & Renandya (2017).

1. მასწავლებელთა ინგლისური ენის გაზრდილი კომპეტენცია და სწავლა-სწავლების გაუმჯობესებული გარემო, მასწავლებელთა სწავლების უნარების ჩათვლით, ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ინგლისური ენის კომპეტენციის გაზრდას. ნახაზზე 1 წარმოდგენილია ეს ურთიერთმიმართება.

*ნახაზი 1: მასწავლებელთა კომპეტენციის, სასწავლო გარემოსა და მოსწავლეთა შედეგების ურთიერთმიმართება*

2. სასწავლო გეგმა, სწავლის შედეგები და შეფასება ერთმანეთთან ურთიერთკავშირშია და უნდა იყოს ერთიანი. ეს წარმოდგენილია ნახაზზე 2.




*ნახაზი 2: სასწავლო გეგმის, შეფასებისა და შედეგების ურთიერთმიმართება ინგლისური ენის დონეებზე*

ამ სტრატეგიის მიზნების მიღწევის ეტაპები დაყოფილია შემდეგნაირად:

- ფაზა 1 (2025 წლისთვის) და
- ფაზა 2 (2030 წლისთვის).

## 6. დეტალური მიზნები

დოკუმენტის წინა ნაწილში მოცემული საერთო მიზნები შეიძლება შემუშავდეს შემდეგი დეტალებით, დისკუსიისა და რეკომენდაციების საფუძელზე:

---

### 6.1 მიზანი 1: სწავლა-სწავლების გარემოს გაუმჯობესება:

ინგლისური ენის სწავლება საქართველოში უფრო მეტად ორიენტირებულია მოსწავლეებზე, ინკლუზიურია, იყენებს შესაბამის სასწავლო გეგმას, შეფასების სისტემებსა და სასწავლო მასალებს. ამ კონკრეტული მიზნის მიღწევას ხელს შეუწყობს შემდეგი კომპონენტები:

1. *სწავლების სტრატეგიები:* მასწავლებლები იყენებენ სწავლების სტრატეგიებს, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლეებზე, მასწავლებლის საუბარი 30%-ზე ნაკლებია;
2. *სასწავლო გეგმა:* სასწავლო გეგმა არის თანმიმდევრული, აჩვენებს სათანადო სპირალურ პროგრესს, ტემპი ასაკის შესაბამისია და წიგნიერება საკმარისად არის უზრუნველყოფილი ადრეულ კლასებში, სასწავლო მასალები მიმზიდველია, სტიმულის მიმცემი, შესაფერისი და ასაკის შესაბამისი.

სასწავლო გეგმა ასევე შეესაბამება სტრატეგიის საერთო მიზნებს შედეგების, დონისა და სწავლების მეთოდების თვალსაზრისით.

**სასწავლო გეგმასთან დაკავშირებული რეკომენდაციები:**

ა. ინგლისური ენის მიმდინარე სასწავლო გეგმა აგებულია თითოეული კლასის ყოვლისმომცველი კომპეტენციის გათვალისწინებით. ის ნაწილობრივ დაწერილია, როგორც კომპეტენციებზე დაფუძნებული სასწავლო გეგმა და ნაწილობრივ, როგორც შინაარსზე დაფუძნებული სასწავლო გეგმა. კომპეტენციებზე დაფუძნებული სასწავლო გეგმა არის ის, რომელიც აგებულია კომპეტენციების გარშემო, რომლებსაც მოსწავლეები უნდა დაეუფლონ სწავლის შედეგად. სასწავლო მიზნებში ნათლად არის წარმოადგენილი, რის გაკეთებას შეძლებენ მოსწავლეები, რა კომპეტენციებს, უნარებს ან შესაძლებლობებს შეიძენენ.

შინაარსზე დაფუძნებული სასწავლო გეგმა მოიცავს იმ თემებს, რომლებიც უნდა იყოს დაფარული. ის არ ითვალისწინებს მოსწავლის აქტიურ სასწავლო მიზანს.

კომპეტენციებზე დაფუძნებული სასწავლო გეგმა შესანიშნავი საფუძველია განსავითარებლად. ახლანდელი სასწავლო გეგმა უკვე მოიცავს საკომუნიკაციო ენის ყველა საჭირო ფუნქციას, რომლებიც მოსწავლეებმა უნდა შეიძინონ. რა უნდა გაკეთდეს, არის ის, რომ ეს თემები ხელახლა გადაიწეროს, როგორც კომპეტენციები. მაგალითად, იმის ნაცვლად, რომ ჩამოთვალოთ ისეთი თემები და ფუნქციები, როგორიცაა „მისალმება, პერსონალური ინფორმაცია, მოწონება/დაწუნება“, სასწავლო გეგმამ უნდა განსაზღვროს, რის გაკეთებას შეძლებენ მოსწავლეები, მაგალითად: „მისალმებას (ინგლისურად)“, „პირადი ინფორმაციის მიწოდებას (ინგლისურ ენაზე)“, „მოწონებისა და დაწუნების გამოხატვას“.

ამგვარად შედგენილი სასწავლო გეგმა საკმარისად მოქნილია იმისათვის, რომ გათვალისწინებული იყოს მასწავლებლების მიერ კლასში გამოყენებული მრავალი მიდგომა.

ის კარგად ერგება ნებისმიერ შინაარსსა და კონცეფციას თემებისთვის, მათ შორის, სხვა საგნებიდანაც.

ამ რეკომენდაციას ამყარებს წარმატებული რეგიონული გამოცდილება. მაგალითად, ალბანეთში, 2005 წელს შინაარსზე დაფუძნებული სასწავლო გეგმა შეიცვალა მიზნებზე დაფუძნებულ სასწავლო გეგმად (ალბანეთის განათლებისა და სპორტის სამინისტრო, 2016) და ანალოგიურად მონტენეგროში, ბრიტანეთის საბჭოს პროექტის „სწავლება წარმატებისთვის“ დახმარებით (Madzgalj & Kandybovich, 2018).

ბ. მიზნებზე ან კომპეტენციაზე დაფუძნებული სასწავლო გეგმა ადვილად ერგება სხვადასხვა მიდგომას, მაგალითად, პროექტზე დაფუძნებულ სწავლებას (PBL), ან კონტექსტზე ან კონცეფციაზე დაფუძნებულ მიდგომას, ან არსებული სასწავლო სახელმძღვანელოს გამოყენებას და მასწავლებლის მიერ მომზადებულ ან ონლაინ დამატებით რესურსებს სათანადო სტანდარტის მისაღწევად სასწავლო გეგმაში.

გ. სასწავლო გეგმის ინტეგრირება ახალი სკოლის მოდელთან:
ამ სტრატეგიის განხორციელების ფარგლებში, სასწავლო გეგმის გადასინჯვის პროცესში, სასწავლო გეგმისთვის უნდა მომზადდეს რეკომენდაციები, თუ როგორ უნდა შევიდეს კონცეფციები სხვა საგნებიდან. უმჯობესია, ეს სფერო მოქნილი დარჩეს, რათა მასწავლებლებმა თავად მიიღონ გადაწყვეტილება, რომელ საგნებსა და რომელ თემებს აირჩევენ. თუმცა, სასწავლო გეგმაში შეიძლება მოცემული იყოს სასწავლო მიზნებისა და კომპეტენციების ნიმუში.

ასევე მიზანშეწონილია, რომ სასწავლო გეგმაში განსაზღვრული იყოს სხვა რესურსები, რომლებიც მასწავლებლებს შეუძლიათ/უნდა გამოიყენონ. მხოლოდ ერთ კონკრეტულ მაგალითად შეიძლება ნოვიყვანოთ ინგლისურენოვანი ადაპტირებული ლიტერატურის ჩართვა სწავლებაში, მაგრამ, რა თქმა უნდა, არსებობს ბევრი სხვა კონკრეტული რესურსიც.

დ. ყველა საკლასო აქტივობა საბოლოოდ ხელს უნდა უწყობდეს იმ დონის მიღწევას, რომელიც მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ სკოლის დამთავრებისას და საბოლოო გამოცდების დროს უნდა შემოწმდეს.

ე. თითოეული სასწავლო წლის სასწავლო გეგმაში ჩაწერილი კომპეტენციების კრიტერიუმები (განცხადებები, რომლებიც იწყება შემდეგნაირად: „ამ ერთეულის/თემის/კლასის შემდეგ ...“), მასწავლებლებს უადვილებს, შეიმუშაოს როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასება, რომელიც ასახავს მოსწავლეების სწავლის რეალურ დონეს სასწავლო გეგმის შესაბამისად.

3. *ინკლუზიური გარემო* (შეზღუდული შესაძლებლობები, ენა და სქესი):

- მასწავლებელი ყოველთვის იყენებს კლასში ინკლუზიურ ენას.
- დიფერენცირებული სასწავლო მასალა და მხარდაჭერა ხელმისაწვდომია სპეციალური განათლების საჭიროებების მქონე (SE) მოსწავლეებისთვის.
- თანაბარი ხელმისაწვდომობა ენობრივი უმცირესობებისა და სოფლის სკოლებისთვის.
- სასწავლო მასალა არ გამოარჩევს გენდერულ ან სხვა სტერეოტიპებს.
- დაცულია გაკვეთილის საერთაშორისო ინკლუზიური სახელმძღვანელო მითითებები.

4. *დიფერენცირებული მითითებები:* მასწავლებლებს შეუძლიათ გამოიყენონ დიფერენცირებული მითითებები ცოდნის განსხვავებული დონის პროფილის კლასებში

**რეკომენდაციები დიფერენცირებულ მითითებებთან დაკავშირებით:** დიფერენცირებული მითითებები შეტანილია როგორც თემა მასწავლებლის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაში (CPD).

5. *მოსწავლეების რაოდენობა:* მასწავლებლის თანაშემწე არის გაკვეთილზე, როდესაც კლასში მოსწავლეთა რაოდენობა 25-ს აღემატება.

6. *წიგნიერებასთან დაკავშირებული მითითებები:* ადრეულ დაწყებით საფეხურზე ინგლისური ანბანი და წიგნიერება შეტანილია ასაკის შესაბამისი ტემპით, მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის საკმარისი მხარდაჭერით და ყოველგვარი წინასწარი სავალდებულო ცოდნის გარეშე. არსებობს საკმარისი პრაქტიკა.

**წიგნიერებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები:** გადახედეთ სახელმძღვანელოებს და გამოავლინეთ ისინი, რომლებიც ძალიან დიდი მოცულობით და ძალიან სწრაფად ასწავლის წერა-კითხვას. დაეხმარეთ მასწავლებლებს ალტერნატივების / ამ პრობლემის მოგვარების სტრატეგიების პოვნაში.

7. *შეფასება:*

- არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ბალანსი დაწყებითი და საშუალო განათლების განმავლობაში და მთელი სასწავლო წლის განმავლობაში.
- განმავითარებელი შეფასება უწყვეტია, უკავშირდება სწავლას, ინკლუზიური და რეფლექტიურია.
- განმსაზღვრელი შეფასება პირდაპირ უკავშირდება სწავლას და სასწავლო გეგმას,ხელს უწყობს სწავლას, ინკლუზიური, ეფექტური, სანდო და პრაქტიკულია.

**შეფასებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები:**

ა. საჭიროა მიმოხილვის ჩატარება იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყენება შეფასება გაკვეთილზე, სკოლის და ეროვნულ დონეზე. მან უნდა უპასუხოს შემდეგ კითხვებს:

- ესმით თუ არა მასწავლებლებსა და სკოლის ხელმძღვანელებს შეფასების მიზანი და შეფასების განსხვა-ვებული ტიპები და მეთოდები?
- იციან თუ არა, როგორ უნდა დაგეგმონ და შეიმუშაონ შეფასება და შეფასების სისტემები?
- არის თუ არა კლასის შეფასება და მიმდინარე და განმავითარებელი შეფასება სასწავლო პროცესის ნაწილი?

ბ. შეფასების, როგორც მასწავლებლის უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) განუყოფელი ნაწილის, ჩართვა.

გ. განმსაზღვრელი შეფასების პრაქტიკის განხილვა: ტარდება თუ არა არა საბოლოო ტესტი სემესტრის ბოლოს? ვინ ქმნის ამ ტესტს? რას ეფუძნება ის? არის თუ არა წლის ბოლოს საბოლოო გამოცდა?

დ. ენის ფლობის დონის საერთო ევროპული ჩარჩოს (CEFR) დონის გამოცდის ადაპტირება სკოლის დამამთავრებელი გამოცდისთვის და მისი სტანდარტიზებული გზით გამოყენება მთელი ქვეყნის მასშტაბით ისე, რომ სკოლის დამთავრებისას მოსწავლეთა ინგლისური ენის ცოდნის დონე ზუსტად შეფასდეს.

8. *საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) გამოყენება:* ICT შეძლებისდაგვარად უნდა იქნეს გამოყენებული კლასში, ხოლო მასწავლებლებმა უნდა მიიღონ სკოლებისა და რესურსცენტრების მხარდაჭერა შესაბამისი ტექნოლოგიის წვდომისა და მისი გამოყენების სწავლისათვის.

**საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან (ICT) დაკავშირებული რეკომენდაციები:**

ა. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ICT) შეტანილია როგორც თემა მასწავლებლის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაში (CPD);
ბ. ტექნოლოგიის მიმოხილვა, რომელიც ხელმისაწვდომია სკოლებში და მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის;
გ. გადახედეთ მასწავლებლების მიერ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) გამოყენების უნარს კლასში გაკვეთილის დაგეგმვისა და სასწავლო მასალებზე წვდომისათვის;
დ. ნებისმიერი შემდგომი რეკომენდაცია უნდა ეფუძნებოდეს იმას, რაც მასწავლებლებისთვის არის ხელმისაწვდომი.
ე. კონკრეტულად შეაფასეთ:
- კომპიუტერების ხელმისაწვდომობა მასწავლებლებისთვის კლასში/სახლში
- მასწავლებლების მიერ მობილური ტექნოლოგიების გამოყენება
- უკაბელო ინტერნეტის ხელმისაწვდომობა
- მობილური მონაცემების ხელმისაწვდომობა/ღირებულება
- პროექტორები და დინამიკები კლასში და ალტერნატივები

9. *არაფორმალური განათლება და კლუბური კულტურა:* არაფორმალური განათლების როლი ინგლისური ენის სწავლაში კარგად არის შესწავლილი და აღწერილი. ის ეხმარება და აძლიერებს ფორმალურ სწავლებას და მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსწავლის მოტივაციის განვითარებასა და შენარჩუნებაში. ეს ხელს უწყობს მასწავლებლის უწყვეტ პროფესიულ განვითარებას (CPD) და ხშირად შეუძლია უფრო პრაქტიკული ასპექტების შექმნა მიზნობრივ ენაზე კომუნიკაციის კონტექსტში (Vartolomei, 2017) (Rahayu, 2020).

ბრიტანეთის საბჭოს (კონფლიქტების, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ფონდის მხარდაჭერით) და მრავალ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციას აქვთ საქართველოში ინგლისური ენის კლუბების პროგრამების შექმნის გამოცდილება და ეს მოდელი შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასწავლო დაწესებულების სკოლის ბაზაზე. პროგრამის „გზა სრულყოფილებისკენ“ (Pathways to Excellence) (ბრიტანეთის საბჭო, 2019) ანგარიშში აღნიშნულია ინგლისური კლუბების, როგორც 13 საგანმანათლებლო ჰაბის ნაწილის, პოზიტიური გამოცდილება. მომავალში ინგლისური კლუბები შეიძლება შეიქმნას სკოლის სივრცეში, როგორც მასწავლებლის უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) ნაწილი.

სკოლის დონეზე ინგლისური კლუბების ორგანიზების გამოცდილება ხელს შეუწყობს სკოლის ავტონომიას, საზოგადოების ჩართულობას, მათ შორის მშობლების მონაწილეობას და გააუმჯობესებს მოტივაციას როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე მოსწავლეებისთვის. სკოლის ბაზაზე დაფუძნებულ ინიციატივებს შეიძლება მხარი დაუჭიროს ადგილობრივმა მუნიციპალიტეტებმა.

**რეკომენდაციები, რომლებიც დაკავშირებულია სკოლაზე დაფუძნებულ არაფორმალურ ინიციატივებთან:**

ა. ინგლისური ენის არაფორმალური სასწავლო პროგრამებისა და შესაძლებლობების მხარდაჭერა, პოპულარიზაცია და წახალისება.
ბ. მთავრობის დახმარების ხელმისაწვდომობა ინგლისური კლუბებისთვის, ოლიმპიადებისთვის, მოსამზადებელი პროგრამებისა და რესურსებისთვის, ასევე სხვა არაფორმალური სასწავლო სცენარებისთვის, სკოლების ბაზაზე ან დამოუკიდებლად.
გ. ინგლისური ენის კლუბების ან მსგავსი საქმიანობის განხორციელების ჩართვა მასწავლებლის უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) მოთხოვნებისა და შეთავაზებების ნაწილში. ეს უნდა იყოს გამყარებული სკოლის ხელმძღვანელობის შესაფერისი უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) სისტემის დანერგვით.

## 6.2 მიზანი 2: მოსწავლეების ინგლისური ენის გაუმჯობესებული კომპეტენცია დაწყებითი განათლებისა და საშუალო განათლების ბოლოს (განხორციელებული ენის ფლობის საერთო ევროპული ჩარჩოს დონეების შესაბამისად (CEFR))

მიუხედავად იმისა, რომ ეს სტრატეგია რეკომენდაციას უწევს ენის ფლობის საერთო ევროპული ჩარჩოს (CEFR) დონეების გამოყენებას, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ არის გარკვეული დავა CEFR-ის დონის გამოყენებასთან დაკავშირებით დაწყებითი და საშუალო განათლების მოსწავლეთა შედეგების შესაფასებლად. მაგალითად, დევიდ ჰეიესი, ბრიტანეთის საბჭოს ნაშრომში „ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ინგლისური ენის სწავლების წარმატებაზე სახელმწიფო დაწყებით სკოლებში" (2014), აღნიშნავს, რომ CEFR-ის დონეები შემუშავებული არ არის მცირე ასაკის მოსწავლეებთან გამოსაყენებლად. გარდა ამისა, ესტონეთის გამოცდილება (ესტონეთის განათლებისა და კვლევის სამინისტრო, 2010) აჩვენებს, რომ შეფასების მიზნებისათვის CEFR-ის დონეებზე ზედმეტად დაყრდნობა მიზანშეწონილი არ არის:

> "სხვა ევროპული ქვეყნების გამოცდილება აჩვენებს, რომ გამოცდების ენის ფლობის საერთო ევროპული ჩარჩოს (CEFR) დონეებთან დაკავშირება ზოგადად რთული პროცესია, ვინაიდან, ერთი მხრივ, სასკოლო გამოცდების უმეტესობა სრულად არ მოიცავს CEFR-ით გათვალისწინებულ ენობრივ შესაძლებლობებს. მეორე მხრივ, სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო საზომები ლეგიტიმურად ჩნდება სკოლის მიზნებსა და შეფასებაში და არ შეიძლება ადვილად შეფასდეს CEFR-ის მითითების დონეზე.
>
> ერთ-ერთი რეკომენდაცია ენის ფლობის საერთო ევროპული ჩარჩოს (CEFR) გამოყენებასთან დაკავშირებით არის ის, რომ იგი საგულდაგულოდ უნდა იყოს კონტექსტუალიზებული და ითვალისწინებდეს უფრო ფართო განათლების მიზნებს. ეს შეიძლება გულისხმობდეს აღიარებისა და შესაძლო შეფასების სხვა საშუალებებს, ვიდრე CEFR-ის დონეების უშუალო გამოყენებას, როგორიცაა სასწავლო გამოცდილების პორტფელის ტიპის აღიარება."

ასევე არსებობს ენის ფლობის საერთო ევროპული ჩარჩოს (CEFR) სხვა ალტერნატივა, ინგლისური ენის გლობალური მასშტაბი (GSE). სტრატეგიის განხორციელების ეტაპზე შეიძლება არსებობდეს CEFR-ის დონის დახვეწის ვარიანტი GSE-ის გამოყენებით, რადგან GSE არ არის ცალკე სისტემა, არამედ CEFR-ის დახვეწილი ვარიანტი.

ამ მიზნის მიღწევას ხელს შეუწყობს შემდეგი კომპონენტები:

1. *მოსწავლის კომპეტენციები.* მოსწავლის კომპეტენციები მკაფიოდ არის მითითებული სასწავლო გეგმაში. სწავლა-სწავლების პროცესი მოიცავს სხვადასხვა მეთოდს, როგორიცაა კომუნიკაციური მიდგომა, პროექტზე დაფუძნებული სწავლება (PBL), ენისა და საგნობრივი შინაარსის ინტეგრირებული სწავლება (CLIL), სწავლება თამაშის საფუძველზე და ა.შ. რაც ხელს შეუწყობს შემდეგს:

   - მოსწავლეებს ექნებათ CEFR-ის მიხედვით A1 კომპეტენციები დაწყებითი სკოლის ბოლოს (მე-6 კლასი), 1-ლი ფაზის დასასრულს (2025 წ.) და A1 კომპეტენციები A2 კომპეტენციების ნაწილობრივ შერჩევასთან ერთად, მე-2 ფაზის ბოლოს (2030 წ.), რაც გაიზომება სტანდარტიზებული შეფასების გამოყენებით.
   - CEFR A2 კომპეტენციები საშუალო სკოლის საბაზისო საფეხურის ბოლოს (მე-9 კლასი) 1-ლი ფაზის დასასრულს (2025 წ.) და B1 კომპეტენციები მე-2 ფაზის ბოლოს (2030 წ.), რომელიც გაიზომება ბავშვებისა და მოზარდების შესაფასებლად კემბრიჯის მიერ შემოთავაზებული შეფასების ვარიანტების სტანდარტიზებული ადაპტაციის გამოყენებით.
   - CEFR B1 კომპეტენციები საშუალო სკოლის ბოლოს (მე-12 კლასი) 1-ლი ფაზის დასასრულს (2025) და B2 კომპეტენციები მე-2 ფაზის ბოლოს (2030), იზომება სტანდარტიზებული ენის ფლობის საერთო ევროპული ჩარჩოს (CEFR) გამოცდის ადაპტირებული ვარიანტის გამოყენებით.

*შენიშვნა:* რეგიონული შედარებისთვის, ალბანეთი იყენებს CEFR A2-ის დონეს საშუალო განათლების ბოლოს მოსწავლეების შესაფასებლად (ალბანეთის განათლებისა და სპორტის სამინისტრო, 2016), ხოლო ესტონეთი იყენებს B1-ს საბაზო განათლების ბოლოს და B2-ს საშუალო განათლების ბოლოს (ესტონეთის განათლებისა და კვლევის სამინისტრო, 2010). (Mackenzie, 2019) (Phelps, 2019)

## 2. *შეფასება:*

- ყველა შეფასება შეესაბამება სასწავლო გეგმას, რომელიც თავის მხრივ განსაზღვრულია განათლების ყოველი ეტაპის ბოლოს ენის ფლობის საერთო ევროპული ჩარჩოს (CEFR) სასურველი დონის შესაბამისად;
- საშუალო სკოლის დამამთავრებელი გამოცდა სტანდარტიზებულია (რამდენადაც შესაძლებელია, მაგალითად, უფრო პრაქტიკულია მისი ადმინისტრირება და შეფასება ადგილობრივად, ამიტომ ყველა ღია ამოცანას უნდა მოჰყვეს ეფექტური რუბრიკა სტანდარტიზებული შეფასებისთვის);
- ოთხივე უნარი შემოწმებულია.
- შეფასება არის სწორი, სანდო და პრაქტიკული (მაგალითად, უნივერსიტეტის მისაღებ გამოცდაში არის სირთულეები მოსმენის ნაწილში, ამიტომ ტექნიკურმა ექსპერტებმა უნდა უზრუნველყონ, რომ გამოცდაზე იყოს ხარისხიანი, წინასწარ ჩაწერილი მოსმენის ნაწილი.

**შეფასებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები:**

ნახაზი 3 გვიჩვენებს, თუ როგორ არის ეროვნული სასწავლო გეგმა და კომპეტენციები ურთიერთდაკავშირებული სწავლების მეთოდებთან და საბოლოოდ – შეფასებასთან, ხოლო მე–4 ნახაზზე მოცემულია CEFR–ის დონის რეკომენდებული სტანდარტი როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე მასწავლებლებისთვის.

ა. სტუდენტების ინგლისური ენის კომპეტენციის ფაქტობრივი დონის კვლევა დაწყებითი და საშუალო განათლების ბოლოს.

ბ. მიმდინარე გამოცდის პირობების ხარვეზებისა და გამოწვევების გადახედვა.

გ. დაწყებითი განათლების დონის დასრულებისთვის სტანდარტიზებული შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება. ამ მიზნით ბავშვებისა და მოზარდების კემბრიჯისეული შეფასების ვარიანტების შესწავლა, შესაფერისი ვარიანტის შერჩევა და მორგება ქართული კონტექსტისა და მოთხოვნების შესაბამისად. რეკომენდებულია კემბრიჯთან თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმება და მათი გამოცდილების გაზიარება შეფასების ამგვარი ინსტრუმენტების ადაპტირება/შემუშავებაში. თუ დაწყებითი სკოლის დამთავრებისას ასეთი გამოცდა წარმატებული გამოდგება ინგლისური ენისთვის, მსგავსი გამოცდა შეიძლება შემუშავდეს სხვა საგნებისთვისაც, თუკი ეს მიზანშეწონილად ჩაითვლება კონსულტაციის შემდეგ.

დ. სტანდარტიზებული შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება განათლების საბაზისო საფეხურის დასასრულისთვის. ამ მიზნით ბავშვებისა და მოზარდების კემბრიჯისეული შეფასების შესაფერისი ვარიანტის შერჩევა და მორგება ქართული კონტექსტისა და მოთხოვნების შესაბამისად. რეკომენდებულია კემბრიჯთან თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმება და მათი გამოცდილების გაზიარება შეფასების ამგვარი ინსტრუმენტების ადაპტირება/შემუშავებაში. თუ საბაზისო საფეხურის ბოლოს ასეთი გამოცდა წარმატებული აღმოჩნდა ინგლისური ენისთვის, მსგავსი გამოცდა შეიძლება შემუშვდეს სხვა საგნებისთვისაც, თუკი ეს მიზანშეწონილად ჩაითვლება კონსულტაციის შემდეგ.

ე. ორი ვარიანტი შეიძლება იყოს განხილული საშუალო სკოლის ინგლისური ენის ფლობის საერთო ევროპული ჩარჩოს (CEFR) დონის შეფასების შემუშავებისას.

- ვარიანტი 1: გადაიხედოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული ინგლისური ენის მისაღები გამოცდა და შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრთან (NAEC) ერთად შეთანხმდეს შემდეგი კრიტერიუმების შესაბამისად: სტანდარტიზაციის გაუმჯობესება, მათ შორის ოფიციალური საგამოცდო ადგილების მიმოხილვა; მოსმენის ნაწილის ჩანაწერის გაუმჯობესება ისე, რომ ხმის ხარისხი იყოს საკმარისი; საგამოცდო სივრცეების ტექნიკური პირობების შემოწმება, რათა ყველგან არსებობ–დეს მოსმენის ნაწილში ხმის რეპროდუცირებისათვის თანაბარი შესაძლებლობები. გაუმჯობესდეს ენის ფლობის საერთო ევროპული ჩარჩოს (CEFR) სათანადო დონესთან და სასწავლო გეგმასთან შესაბამისობა. ყოველივე ამის დასრულების შემდეგ ეს გამოცდა გახდეს სავალდებულო ყველა აბიტურიენტისთვის. თუ ეს საგამოცდო სისტემა წარმატებული აღმოჩნდება, შეიძლება შეიქმნას ანალოგი სხვა საგნებისთვის, თუკი კონსულტაციის შედეგად მოხდება შეთანხმება.

- ვარიანტი 2: შემუშავდეს ენის ფლობის საერთო ევროპული ჩარჩოს (CEFR) დონის შესაბამისი ახალი გამოცდა, რომელიც შეესაბამება ინგლისური ენის ეროვნულ სასწავლო გეგმას და შემუშავდეს ქვეყნის მასშტაბით სტანდარტიზებული გამოცდების ადმინისტრირების ჩარჩო. გამოცდა სავალდებულო გახდეს ყველა აბიტურიენტისთვის.

*ნახაზი 3: სასწავლო გეგმის, სწავლების მეთოდებისა და შეფასების ურთიერთმიმართება*

*ნახაზი 4: შემოთავაზებული CEFR კომპეტენციები მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის*

I ფაზა
2025

საშუალო განათლების ქვედა საფეხურზე მთელი დონის ეფექტურად დაფარვისთვის საჭირო იქნება სასწავლო გეგმაში დამატებითი სასწავლო საათები.

II ფაზა
2030

3. *ინგლისური ენის საათობრივი ბადე:* საათები საკმარისია დადგენილი სტანდარტის მისაღწევად.

**რეკომენდაციები ინგლისურის სასწავლო საათებთან დაკავშირებით:** კვლევამ აჩვენა, რომ უფრო მნიშვნელოვანია ინგლისურის სწავლებას უფრო მეტი საათები დაეთმოს დაწყებითი საფეხურის დასასრულისათვის, ვიდრე დასაწყისისათვის, ამიტომ პრიორიტეტად უნდა ჩაითვალოს ინგლისური ენისთვის განკუთვნილი საათები მე-2-3 კლასებიდან მე-5-6 კლასებამდე (Alkan & Kartal, 2018). 2-3 საათი მე-2-3 კლასებში, 4-5 საათამდე მე-5-6 კლასებში საშუალო საფეხურზე, კვირაში ინგლისური ენის 5-6 საათია რეკომენდებული (Hayes, 2014) (Ferati, et al.)

4. *მოსწავლეთა რაოდენობა:* მოსწავლე/მასწავლებლის თანაფარდობა მართვადია მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლებით.

**რეკომენდაციები მოსწავლეთა რაოდენობასთან დაკავშირებით:** ენის კლასი, განსაკუთრებით კომუნიკაციაზე ორიენტირებული, მოითხოვს დიდ ყურადღებას თითოეული მოსწავლისადმი. თუ კლასში 20-ზე მეტი მოსწავლეა, ეს რთული ხდება. რეკომენდებულია მასწავლებელთა თანაშემწეების/სტაჟიორი მასწავლებლების გამოყენება, რადგან ეს შეიძლება იყოს უფრო მარტივი გამოსავალი ლოჯისტიკურად, ვიდრე კლასების გაყოფა.

5. მასალები და სწავლების მეთოდები: მასალები და სწავლების მეთოდები შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს და ითვალისწინებს ბავშვების წიგნიერების დონეს განსაკუთრებით ადრეულ დაწყებით კლასებში, როდესაც მოსწავლეები ჯერ კიდევ პირველენაზე იძენენ ცოდნას. მასალები აჩვენებს შესაბამის პროგრესს ადვილიდან უფრო რთულისკენ, ასაკიდან გამომდინარე. სასწავლო მასალები (იქნება ეს სკოლების მიერ მოწოდებული სახელმძღვანელოები თუ მასწავლებლის მიერ მომზადებული მასალა) იძლევა მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო პრაქტიკის შესაძლებლობას.

საშუალო დონის მასალები მიმზიდველია და საინტერესოა 13 წლამდე და 13 წლის ზემოთ მოზარდებისთვის. შინაარსიანი საკომუნიკაციო პრაქტიკული შესაძლებლობების მიწოდება გრძელდება ასაკის შესაბამისად.

6. უმაღლეს (HE) და პროფესიულ განათლებასთან შესაბამისობა (VET): საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა ინგლისური ენის კომპეტენციის დონე შეესაბამება პროფესიული განათლებისა (VET) და უმაღლესი განათლების (HE) მოთხოვნებს. ეს ამჟამად განსაზღვრის პროცესშია, მაშინ, როდესაც პროფესიული განათლება გვთავაზობს მოდელს, სადაც არსებობს ინგლისური ენის სხვადასხვა დონის მიმართულებები (Phelps, 2019) (მაკენზი, 2019), ამიტომ საჭირო იქნება რეგულარული შესაბამისობის უზრუნველყოფა (Kelly, 2019).

---

## 6.3 მიზანი 3: მასწავლებელთა სწავლების უნარ–ჩვევებისა და მეთოდების გაუმჯობესება

დოკუმენტური კვლევის, ინტერვიუებისა და ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების (SWOT) ანალიზის შედეგად, რომელიც გაკეთდა ამ სტრატეგიის შემუშავებისას, დადგინდა, რომ არსებობს ორი ძირითადი მიმართულება, რათა გაუმჯობესდეს მასწავლებელთა სწავლების უნარები და მეთოდები და გადავიდეს უფრო მეტად მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომაზე: 1) ინგლისური ენის სტუდენტ მასწავლებელთა მომზადების (PRESETT) პროგრამისა და მოთხოვნების გაძლიერება და 2) ეფექტური და სისტემატური უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) სისტემის დანერგვა, რომელიც ეხმარება მასწავლებლებს სწავლაში.

ამ მიზნის მიღწევას ხელს შეუწყობს შემდეგი კომპონენტები:

1. *ინგლისური ენის სტუდენტ მასწავლებელთა მომზადების პროგრამის (PRESETT) სასწავლო გეგმა:* PRESETT სასწავლო გეგმა (ინგლისური ენის მასწავლებელთა 60–კრედიტიანი პროგრამის 24–კრედიტიანი მოსამზადებელი კურსი) შეესაბამება სხვა ენაზე მოსაუბრეთათვის ინგლისური ენის სწავლების სერთიფიკატს (CELTA) ან ინგლისური ენის, როგორც უცხო ენის, სწავლების (TEFL) სერთიფიკატს. ის არის სპეციფიკური კომპეტენციების/სტანდარტების კრებული, რომელიც უნდა დააკმაყოფილოს ინგლისური ენის მომავალმა მასწავლებლებმა და შედის მასწავლებლის საერთო კომპეტენციებში.

**ინგლისური ენის სტუდენტ მასწავლებელთა მომზადების პროგრამის (PRESETT) სასწავლო გეგმასთან დაკავშირებული რეკომენდაციები:**

შეიმუშავეთ და მკაფიოდ განსაზღვრეთ ინგლისური ენის მასწავლებელთა კომპეტენციების სტანდარტების დოკუმენტი. ეს მოიცავს შემდეგს:

- სხვა ენაზე მოსაუბრეთათვის ინგლისური ენის სწავლების სერთიფიკატის (CELTA) სასწავლო გეგმისა და კომპეტენციების და ინგლისურის, როგორც უცხო ენის, სწავლების (TEFL) რამდენიმე სხვა კურსის შესწავლა, რომლებიც შემოთავაზებულია რესპექტაბელური ინსტიტუტების მიერ საერთაშორისო დონეზე სასწავლო გეგმების/კომპეტენციების კრებულისთვის.
- შეადარეთ შესწავლილი კურსები არსებული ინგლისური ენის სტუდენტ მასწავლებელთა 24–კრედიტიანი მომზადების პროგრამის (PRESETT) სასწავლო გეგმას და შეადგინეთ სასწავლო გეგმა CELTA / TEFL მაგალითების ყველა შესაბამისი კომპეტენციის ჩართვით.
- შეადარეთ იგი ბრიტანეთის საბჭოს უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) მოდელის კომპეტენციებს.

- შეიმუშავეთ კომბინირებული კომპეტენციების ჩარჩო, რომელიც შეესაბამება 24–კრედიტიან სასწავლო კურსს.
- მიუსადაგეთ კურსის სასწავლო გეგმა ინგლისური ენის მასწავლებელთა კომპეტენციების ამ ახალ ჩარჩოს.
- შეიმუშავეთ გამოცდა, რომელიც უნდა გაიაროს სტაჟიორმა მასწავლებელმა მასწავლებლის კვალიფიკაციის მისაღებად. ეს გამოცდა უნდა იყოს სტანდარტიზებული და მისი ადმინისტრირება უნდა მოხდეს ყველა საკვალიფიკაციო დაწესებულების მიერ ერთნაირად. გამოცდა უნდა შეიცავდეს სამოდელო გაკვეთილებს, გაკვეთილის გეგმებს და შეფასების ნიმუშებს.
- 6–კრედიტიანი სწავლების პრაქტიკუმი ასევე უნდა შეფასდეს ფორმალურად.
- შემოღებულ უნდა იქნეს სტაჟირება იმ მასწავლებლებისთვის, რომლებმაც მიიღეს მასწავლებლის კვალიფიკაცია. სტაჟირების განმავლობაში ახალმა მასწავლებელმა უნდა იმუშაოს მასწავლებლის თანაშემწედ კლასებში, სადაც მოსწავლეთა რაოდენობა აღემატება 20–ს, უფრო გამოცდილი მასწავლებლის ხელმძღვანელობით. ხელმძღვანელი მასწავლებელი სტაჟირების პერიოდის ბოლოს საბოლოოდ შეაფასებს სტაჟიორ მასწავლებელს.
- ვინაიდან ინგლისური ენის სასწავლო გეგმა ორიენტირებულია კონცეფციაზე დაფუძნებულ სწავლებაზე და მასში ინტეგრირებულია სხვა საგნების კონცეფციები, როგორც ინგლისური ენის სწავლების ნაწილი, კონცეფციაზე დაფუძნებული სწავლება უნდა იქნას შეტანილი ინგლისური ენის მასწავლებელთა კომპეტენციების ჩარჩოში.

2. *უწყვეტი პროფესიული განვითარება (CPD):* არსებობს ეფექტური, სისტემატური და ხარისხიანი უწყვეტი პროფესიული განვითარება (CPD), რომელიც ხელს უწყობს მასწავლებლებს სწავლის პროცესში:

- შედეგად, მასწავლებლებს შეუძლიათ გამოიყენონ კლასში უპირატესად მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომები, ინოვაციური მეთოდების გამოყენებით, როგორიცაა პროექტზე დაფუძნებული სწავლება (PBL) და მსგავსი.
- მასწავლებლებს შეუძლიათ შეიმუშაონ ან გამოიყენონ საკუთარი სასწავლო მასალები საჭიროებისამებრ.
- მასწავლებლებს შეუძლიათ შეიმუშაონ და დანერგონ კლასის ეფექტური შეფასების სისტემა (როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი).
- მასწავლებლებს აქვთ წვდომა და შეუძლიათ გამოიყენონ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ICT).
- მასწავლებლებს აქვთ წვდომა ტრენინგსა და მხარდაჭერაზე, რომელიც მათ სჭირდებათ
- მასწავლებლებს ესმით სასწავლო გეგმის მიზნები და ამოცანები, რომლებსაც ისინი ასწავლიან და და ის, თუ როგორ არის სტრუქტურირებული სასწავლო გეგმა

**უწყვეტ პროფესიულ განვითარებასთან (CPD) დაკავშირებული რეკომენდაციები:**

ა. მოახდინეთ ბრიტანეთის საბჭოს უწყვეტი პროფესიული განვითარების იმ მოდელის ადაპტირება, რომელიც ნაჩვენებია ქვემოთ, ნახაზში 5. ბრიტანეთის საბჭოს უწყვეტი პროფესიული განვითარების ჩარჩო უნდა ინტეგრირდეს უწყვეტი პროფესიული განვითარების არსებულ პროგრამაში. ეს სისტემა დაეფუძნება ქვემოთ მითითებული თემების/კომპეტენციების მენიუს უწყვეტი პროფესიული განვითარების თემებზე. ის, რაც წარმოდგენილია ამ სტრატეგიაში, არის მხოლოდ თემების მოკლე ჩამონათვალი და ამ სისტემის ადაპტირებისა და დანერგვისთვის საჭიროა დეტალური სახელმძღვანელოს შემუშავება. ქვემოთ მოცემულ განყოფილებებში განხილულია რამდენიმე დეტალი, თუ როგორ შეიძლება ამის მიღწევა. ბრიტანეთის საბჭოს უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემა არის მხოლოდ ყველა იმ თემის ორგანიზების ინსტრუმენტი, რომელიც უნდა იყოს ჩართული წარმატებულ უწყვეტ პროფესიულ განვითარებაში, თუმცა, საქართველოში წარმატებული განხორციელებისათვის, სასწავლო გეგმა უნდა შემუშავდეს მის საფუძველზე.

ბრიტანეთის საბჭოს უწყვეტი პროფესიული განვითარების ჩარჩოში განსაზღვრული ყველა სახის სწავლა და სახელმძღვანელოში განსაზღვრული ყოველი შესამუშავებელი კომპეტენცია უნდა იყოს განმტკიცებული ყველა არსებული (და ახლადწარმოშობილი) დამხმარე სისტემის მეშვეობით (სკოლის მენტორი მასწავლებლები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მწვრთნელები, ახალი სკოლის მოდელის ცენტრები და მათი პერსონალი, 13 საგანმანათლებლო ჰაბი, ინგლისური ენის მასწავლებელთა ასოციაცია (ETAG), მშვიდობის კორპუსის მოხალისეები და სხვა), წვრთნაზე ორიენტირებით.

*შენიშვნა:* ეს არ ნიშნავს, რომ ბრიტანეთის საბჭო პასუხისმგებელია მის განხორციელებაზე. განხორციელება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის (TPDC) პასუხისმგებლობაა და უნდა განხორციელდეს ახალი სკოლის მოდელის განმახორციელებელ სკოლებში და 13 საგანმანათლებლო ჰაბის საშუალებით. გარდა ამისა, სხვა ადგილობრივსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს, მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ ბრიტანეთის საბჭოს, აშშ–ის საელჩოს, საქართველოში ინგლისური ენის მასწავლებელთა ასოციაციას (ETAG) და სხვებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ამაში, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის (TPDC) თანხმობით.

ბ. ხარისხის რეგულარული უზრუნველყოფის ხერხები: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის (TPDC) მწვრთნელების რეგულარული ვიზიტები (ახალი სკოლის მოდელის განმახორციელებელი სკოლები), გაკვეთილებზე დაკვირვება, მასწავლებლების მიერ რეფლექსიის/თვითრეფლექსიის სესიები, მასწავლებლის მიერ შემუშავებული სემესტრის გეგმები და მათზე რეფლექსიების წარმოება (მშვიდობის კორპუსის პროგრამის მსგავსად, სადაც მასწავლებელი და მოხალისე ვალდებულებას იღებენ, იმუშაონ კონკრეტული გეგმის მიხედვით და შემდეგ ანგარიშს წარადგენენ ამის შესახებ). წვრთნის მიდგომა ძალიან ეფექტურია იქ, სადაც მწვრთნელი ან მშვიდობის კორპუსის მოხალისე უზრუნველყოფს მასწავლებელთან ერთად თანმიმდევრულსა და საგულდაგულო წვრთნას.

გ. მასწავლებელთა კონტრაქტებში, სწავლების საათების გარდა, ჩართეთ უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) სავალდებულო საათები, რათა მასწავლებლებმა განიხილონ უწყვეტი პროფესიული განვითარება როგორც პასუხისმგებლობა.

3. *უწყვეტი პროფესიული განვითარება (CPD) და შემდგომი საქმიანობა:* ყველა პროფესიული განვითარების აქტივობას აქვს გაკვეთილზე ცოდნის დანერგვის მკაფიო მითითებები და დანერგვის შემდგომი მოქმედების კომპონენტი (მასწავლებელი ახორციელებს მეთოდს, ფიქრობს მასზე, მერე უბრუნდება შემდგომ საქმიანობას და ახდენს დემონსტრირებას/გაზიარებას). ეს ყოველივე ონლაინფორმატშიც განხორციელებადია.

4. *უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) კომპეტენციები:* უწყვეტი პროფესიული განვითარება ემყარება ინგლისური ენის მასწავლებლის კომპეტენციებს/სტანდარტებს და ხელს უწყობს ყველა მასწავლებელს ამ კომპეტენციების განვითარებაში.

**უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) კომპეტენციებთან დაკავშირებული რეკომენდაციები:**

ა. დანერგეთ ბრიტანეთის საბჭოს უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) მოდელი სკოლის ხელმძღვანელებისთვის მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის (CPD) და მასწავლებლების მხარდასაჭერად.

ბ. ანალოგიურად, განახორციელეთ ბრიტანეთის საბჭოს უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) მოდელი პედაგოგებისთვის.

5. *სკოლის ბაზაზე უწყვეტი პროფესიული განვითარება (CPD)*

ქვემოთ ჩამოთვლილი უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) ყველა მოდელი უნდა იქნეს გათვალისწინებული. არსებობს მოქმედი სკოლის ბაზაზე დაფუძნებული უწყვეტი პროფესიული განვითარება (CPD).

**რეკომენდაციები სკოლის ბაზაზე დაფუძნებულ უწყვეტ პროფესიულ განვითარებასთან (CPD) დაკავშირებით:** ამის მიღწევა შესაძლებელია შემდეგნაირად:

ა. სკოლის ხელმძღვანელების მომზადება ბრიტანეთის საბჭოს სკოლის ხელმძღვანელების უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) მოდელის გამოყენებით.

ბ. მენტორი მასწავლებლების და უფროსი მასწავლებლების მობილიზაცია ახალი სკოლის მოდელის საშუალებით, სკოლაში ნაკლებად გამოცდილი მასწავლებლების დასახმარებლად წვრთნის საშუალებით, გაკვეთილის დემონსტრირების / დაკვირვებისა და თანამშრომლობის სხვა შესაბამისი მოდელის საშუალებით, რაც ხელს შეუწყობს ინდივიდუალური (და შესაძლოა, რამდენიმე მეზობელი სკოლის) უწყვეტი პროფესიული

განვითარების (CPD) მიზნებს რეგულარულად, თითოეული მასწავლებლის პირადი უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) გეგმის საშუალებით.

გ. ახალი სკოლის მოდელის განმახორციელებელი სკოლების თანამშრომლების გამოყენება სასკოლო ვიზიტებისა და გაკვეთილებზე დაკვირვების უზრუნველსაყოფად, მასწავლებლების მიერ ცოდნის დანერგვის შემდგომი საქმიანობის და რეფლექსიის სესიების განსახორციელებლად.

დ. 13 საგანმანათლებლო ჰაბის ფასილიტატორების გამოყენება დამატებითი სასკოლო ვიზიტებისთვის, რათა დაეხმარონ მასწავლებლებს, რომლებიც მუშაობენ თავიანთი პირად უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) გეგმებზე.

## 6. *საგაკვეთილო დაკვირვების მეშვეობით სწავლაზე დაფუძნებული უწყვეტი პროფესიული განვითარება (CPD)*

**რეკომენდაციები საგაკვეთილო დაკვირვების მეშვეობით სწავლაზე დაფუძნებული უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის:** ამის მიღწევა შესაძლებელია შემდეგნაირად:

ა. ჯერ მასწავლებლები აკვირდებიან გაკვეთილებს მათი ორთვიანი სტაჟირების პერიოდში სკოლებში, სადაც არიან გამწესებული. მასწავლებლებმა უნდა აწარმოონ რეფლექსიის ჟურნალი, სადაც მათ შეუძლიათ ჩაწერონ მოსაზრებები კლასში დაკვირვების საფუძველზე.

ბ. მენტორმა მასწავლებლებმა, როგორც ქოუჩებმა, თავიანთ სკოლებში ნაკლებად გამოცდილი მასწავლებლებისთვის უნდა უზრუნველყონ დაკვირვების შესაძლებლობები; ასევე უნდა გამოიყენონ დაკვირვებისა და რეფლექსიის ჟურნალები.

## 7. *მსგავსი პრაქტიკის მქონე მასწავლებელთა საზოგადოებები და უწყვეტი პროფესიული განვითარება (CPD)*

**რეკომენდაციები დაკავშირებული მსგავსი პრაქტიკის მქონე მასწავლებელთა საზოგადოებასთან:**

ა. ბრიტანეთის საბჭოს ონლაინპლატფორმას შეუძლია უზრუნველყოს მსგავსი პრაქტიკის მქონე მასწავლებელთა საზოგადოების ამოქმედება მთელი საქართველოს მასშტაბით, ყოველგვარი გადაადგილების საჭიროების გარეშე. ინგლისური ენის ყველა მასწავლებელი უნდა დარეგისტრირდეს და მათ უნდა მიეწოდოთ საჭირო ტექნოლოგია. შესაძლოა, საჭირო გახდეს პლატფორმის მობილური ვერსიის შემუშავება.

ბ. გარდა ამისა, მსგავსი პრაქტიკის მქონე მასწავლებელთა საზოგადოების მუშაობას ასევე უნდა შეეწყოს ხელი იმავე სკოლის მასწავლებლებს შორის თანამშრომლობის გზით, მაგალითად, პროექტებზე დაფუძნებული სწავლების (PBL) და ენისა და საგნობრივი შინაარსის ინტეგრირებული სწავლების (CLIL) მიზნებისათვის, ასევე მენტორი მასწავლებლების, 13 ადგილობრივი საგანმანათლებლო ჰაბის და ახალი სკოლის მოდელის განმახორციელებელი სკოლების დახმარებით.

## 8. *მენტორობა:* მენტორობის მთავარი მოდელი არის რეზიდენტ მენტორ მასწავლებლების არსებობა

## 9. *რეფლექსიური პრაქტიკა:* მასწავლებლები აწარმოებენ რეფლექსიურ ჟურნალს იმ გაკვეთილებისთვის, რომლებსაც ისინი აკვირდებიან, ასევე საკუთარი სწავლების პრაქტიკისთვის, რომელიც ემყარება პირადი უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) გეგმაში მითითებულ სწავლის მიზნებს.

## 10. *სწავლების პრაქტიკის კვლევა*

**რეკომენდაციები:**

ეს შეიძლება იყოს მომდევნო ნაბიჯი, საკუთარი რეფლექსიის პრაქტიკის საფუძველზე და რადგანაც მასწავლებლები მუშაობენ ინდივიდუალური უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) გეგმის მიხედვით და სწავლაზე ფიქრობენ, ამავდროულად ჩართული არიან მსგავსი პრაქტიკის მასწავლებელთა საზოგადოებებში, რათა სხვა მასწავლებლებისგან ისწავლონ, მათ შეუძლიათ უფრო მეტად ჩაუღრმავდნენ საკუთარ პრაქტიკას პრაქტიკის კვლევის საშუალებით, რათა გააუმჯობესონ ის და გაიზარდონ, როგორც პროფესიონალი მასწავლებლები.

11. *ტრენინგ კურსები*

- ტრენინგ კურსები, რომლებიც შეესაბამება ბრიტანეთის საბჭოს უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) სტრუქტურას, შემოთავაზებულია ახალი სკოლის მოდელის განმახორციელებელი სკოლების, 13 საგანმანათლებლო ჰაბისა და ბრიტანული საბჭოს ონლაინპლატფორმის (ისევე, როგორც სხვა პროვაიდერების) მიერ. უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) ეფექტურმა სისტემამ ხელი უნდა შეუწყოს სისტემას, სადაც შეიძლება იყოს უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) ტრენინგ კურსების მრავალი მიმწოდებელი, იმ შემთხვევაში თუ ყველა შემოთავაზებული ტრენინგი ხელს შეუწყობს ქვემოთ აღწერილ სწავლის სფეროებსა და სწავლის შედეგებს. ტრენინგები შეიძლება ჩატარდეს პირისპირ ან ონლაინ, რამდენადაც ეს პრაქტიკულია. მასწავლებლებმა უნდა შეარჩიონ კურსები ინდივიდუალური უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) გეგმებისა და სწავლის მიზნების საფუძველზე. ეს ხელს შეუწყობს ტრენინგის პირობების დეცენტრალიზაციას და უზრუნველყოფს უკეთეს კონტექსტუალიზებულსა და მორგებულ ვარიანტებს მასწავლებლებისთვის საქართველოს ყოველ რაიონში, მათი სასწავლო საჭიროებებისა და კონკრეტული სიტუაციის შესაბამისად.
- თითოეული მასწავლებელი შეიმუშავებს საკუთარ ინდივიდუალურ უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) გეგმას, სადაც ირჩევს და ადგენს სასწავლო სფეროების პრიორიტეტებს და განსაზღვრავს მიზნებს ერთი წლის განმავლობაში. მენტორი მასწავლებლები ან რესურსცენტრის ფასილიტატორები/მწვრთნელები ეხმარებიან მასწავლებლებს თავიანთი გეგმების შემუშავებაში.

12. ინგლისური ენის სასწავლო გეგმა პროექტზე დაფუძნებული სწავლების (PBL) ელემენტებით არის სასწავლო გეგმის საკითხი, რომელიც მნიშვნელოვნად ეყრდნობა უწყვეტ პროფესიულ განვითარებას (CPD).

**პროექტზე დაფუძნებულ სწავლებასთან (PBL) დაკავშირებული რეკომენდაციები:**

მნიშვნელოვანია განხორციელების სისტემის შემუშავება, რომელიც იქნება პრაქტიკული. შეიძლება, კარგი დასაწყისი იყოს პილოტური პროგრამის სამოქალაქო განათლება ინგლისური ენის მეშვეობით შესწავლა, თუ როგორ იყვნენ ჩართულები საგნის მასწავლებლები ამ პროექტში და დაგეგმვა იმისა, თუ როგორ მოხდეს რეპლიკა/განვრცობა. სხვადასხვა საგნის მასწავლებლებს შორის წარმატებული თანამშრომლობა საჭიროებს სკოლის ხელმძღვანელების ჩართვას უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) სისტემაში, რათა მათ უკეთ შეძლონ ამის მხარდაჭერა თავიანთ სკოლებში. სკოლები უნდა წახალისდეს, რომ მათ სამუშაო გეგმაში ჩართონ მასწავლებლებს შორის თანამშრომლობა პროექტზე დაფუძნებული სწავლების (PBL) მიზნებისათვის. როგორც უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) ნაწილი, ინგლისური ენის მასწავლებლებს დასჭირდებათ გარკვეული ტრენინგი იმ საგანში, რომელსაც ისინი გამოიყენებენ პროექტზე დაფუძნებული სწავლებისთვის (PBL), ასევე ტრენინგი, თუ როგორ უნდა მოიპოვონ მასალები ამ საგნისთვის ინგლისურ ენაზე (ონლაინ რეჟიმში). პროექტზე დაფუძნებული სწავლება (PBL) უნდა იყოს უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) ნაწილი მასწავლებლებისთვის. ბრიტანეთის საბჭომ შეიმუშავა პროექტზე დაფუძნებული სწავლების (PBL) მასწავლებლის სახელმძღვანელო. ის შეიძლება იქნეს გამოყენებული ან ადაპტირებული.

მასწავლებლებმა არ უნდა იგრძნონ ზეწოლა, რომ განახორციელონ პროექტზე დაფუძნებული სწავლება (PBL), სანამ არ გაივლიან შესაბამის ტრენინგს, მათ შორის, ექნებათ საშუალება დააკვირდნენ, როგორ აკეთებს ამას სხვა მასწავლებელი და ჰყავდეთ მენტორი პირველად დაგეგმვის დროს. პროექტზე დაფუძნებული სწავლება (PBL) უნდა გამოიცადოს სკოლებში, რომელბშიც სკოლის ხელმძღვანელობას ასევე ჰქონდა წვდომა სკოლის ხელმძღვანელების უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე (CPD).

13. *ენისა და საგნობრივი შინაარსის ინტეგრირებული სწავლება (CLIL)*

**ენისა და საგნობრივი შინაარსის ინტეგრირებულ სწავლებასთან (CLIL) დაკავშირებული რეკომენდაციები:**
უნდა იყოს დაცული სამოქმედო გეგმა, რომელიც შემუშავებულია ენისა და საგნობრივი შინაარსის ინტეგრირებული სწავლების (CLIL) ანგარიშში 2019 წელს (კელი, 2019). შესაძლოა, იყოს გარკვეული შეფერხებები COVID-19-ისა და სხვა ფაქტორების გამო.

14. *ელექტრონული სწავლება:* უწყვეტი პროფესიული განვითარება (CPD) მოიცავს ელექტრონულ სწავლებას.

**რეკომენდაციები:** შეისწავლეთ და განსაზღვრეთ ელექტრონული სწავლების შესაძლებლობები მასწავლებლებისათვის, რომლებიც გადიან უწყვეტ პროფესიულ განვითარებას (CPD) (ინგლისური ენის სწავლის რესურსები, მსგავსი სწავლების პრაქტიკის საზოგადოებასთან წვდომა, სხვა სასწავლო პროგრამები (ეს შეიძლება მოიცავდეს ბრიტანეთის საბჭოს ონლაინ პლატფორმის დანერგვას).

15. *ინკლუზიური განათლება კლასში.* არსებობს შეზღუდული შესაძლებლობების ინკლუზია , ენობრივი უმცირესობების ინკლუზია, გენდერული ინკლუზია. ინკლუზიური კლასი სპეციალური განათლების (SE) მასწავლებლის მხარდაჭერითა და მასალების ადაპტირებით. უმცირესობათა სკოლებში/რაიონებში ინგლისური ენის სწავლების ხარისხობრივი სხვაობა მცირდება უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში და სოფლად ინგლისური ენის მასწავლებლების დამატებითი მხარდაჭერისა და ინგლისური ენის გასაუმჯობესებელი კურსების უზრუნველყოფით. გენდერული ინკლუზიური ენა და შესაბამისი გენდერული ინკლუზიური მისაბაძი მაგალითები გამოიყენება კლასსა და სასწავლო მასალებში.

**რეკომენდაციები ინკლუზიასთან დაკავშირებით:** კონფლიქტის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების ფონდის (CSSF) საგანმანათლებლო ჰაბების პროექტის ფარგლებში ბრიტანეთის საბჭომ შეიმუშავა გენდერის სახელმძღვანელო კომპლექტი, რომელიც სწავლების პრაქტიკაში გენდერული თანასწორობის თემატიკის ჩართვაზეა მიმართული. რესურსი მზადაა სკოლებში გამოსაყენებლად.

16. *უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) თემები.* ქვემოთ მოცემულია ბრიტანეთის საბჭოს უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) ჩარჩოში მოცემული თემების მოკლე მონახაზი:

- ენის ცოდნა
- განათლება, კვალიფიკაცია
- ინგლისური ენის სწავლების (ELT) კვალიფიკაცია
- გაკვეთილებისა და კურსების დაგეგმვა
- მოსწავლეთა გაგება
- გაკვეთილის მართვა
- საგნის ცოდნა
- რესურსების მართვა
- სწავლის შეფასება
- საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) ინტეგრირება
- პასუხისმგებლობის აღება პროფესიულ განვითარებაზე
- ინკლუზიური პრაქტიკის გამოყენება
- მრავალენოვანი მიდგომების გამოყენება
- 21-ე საუკუნის უნარების განვითარება
- საგანმანათლებლო პოლიტიკისა და პრაქტიკის გაცნობიერება

**უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) თემებთან დაკავშირებული რეკომენდაციები**

მას შემდეგ, რაც შემუშავდება ინგლისური ენის მასწავლებელთა კომპეტენციების ჩარჩო, ზემოთ ჩამოთვლილი თემები შეიძლება აისახოს, რათა დაეხმაროს მასწავლებლებს, შეაფასონ საკუთარი უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) საჭიროებები და შეიმუშაონ ინდივიდუალური უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) გეგმები. მასწავლებელთა გადამზადების ყველა ღონისძიებამ უნდა შეუწყოს ხელი ამ კომპეტენციათაგან მინიმუმ ერთის განვითარებას მაინც.

ბრიტანეთის საბჭოს უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) მოდელი შეიძლება სინქრონიზებული იყოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის (TPDC) მიმდინარე უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) საქმიანობასთან. ამისთვის საჭიროა:

ა. მასწავლებელთა ტრენინგის საჭიროებების მიმოხილვა მათ სკოლებში, ბრიტანეთის საბჭოს უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) მოდელის თემების გათვალისწინებით.
ბ. მწვრთნელების საჭიროებების მიმოხილვა და მათი უნარ–ჩვევების გაუმჯობესება, ბრიტანეთის საბჭოს მასწავლებლის უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) მოდელის გამოყენებით.
გ. ტრენინგების დაგეგმვა და მასწავლებელთა მხარდაჭერა განსაზღვრული თემების მიხედვით. ეს სტრატეგია იძლევა ბრიტანეთის საბჭოს უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) სისტემის მხოლოდ მოკლე აღწერას ზოგადი თემების ჩამონათვალით, ხოლო უფრო დეტალური სახელმძღვანელო და სასწავლო მასალა ხელმისაწვდომია ბრიტანეთის საბჭოში.
დ. ონლაინ და პირისპირ ტრენინგების შემუშავება მასწავლებლის ხელმისაწვდომობის შესაბამისად.
ე. მასწავლებლების შერჩევა ტრენინგებზე დასასწრებად მასწავლებელთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმების (და მათი ხელმისაწვდომობის) საფუძველზე.
ვ. პროფესიული განვითარების აქტივობების შემდგომი საქმიანობა, სკოლის ბაზაზე არსებული წამყვანი და მენტორი მასწავლებლების სისტემაზე დაყრდნობით, ასევე ახალი სკოლის მოდელის განმახორციელებელი სკოლების და 13 საგანმანათლებლო ჰაბის პერსონალის მონახულება.
ზ. სხვა პროვაიდერების ტრენინგების აკრედიტაცია, თუ ისინი შეესაბამება დამტკიცებული თემების ჩამონათვალს (ბრიტანეთის საბჭოს უწყვეტ პროფესიულ განვითარებაში (CPD) მითითებული თემები).

17. *უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) ეტაპები.* ბრიტანეთის საბჭოს უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) მოდელი განსაზღვრავს მასწავლებლის განვითარების შემდეგ ოთხ ეტაპს:

| | | | |
|---|---|---|---|
| **მასწავლებელი ინფორმირებულია კომპეტენციებზე;** | **მასწავლებელს ესმის კომპეტენციები;** | **მასწავლებელი იყენებს კომპეტენციებს;** | **მასწავლებელი ახდენს კომპეტენციების პრაქტიკაში ინტეგრირებას.** |

მასწავლებლები გადიან ამ ოთხ საფეხურს მათ მიერ განსავითარებელი თითოეული კომპეტენციისთვის, როგორც ეს წარმოდგენილია ბრიტანეთის საბჭოს უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) ჩარჩოს დიაგრამაში (ნახაზი 5). ეს დონეები არის მხოლოდ თვითრეფლექსიისთვის/თვითშეფასებისათვის. მასწავლებლები არ არიან ზედაპირულად შეფასებული, პრაქტიკის პროგრესსთან ერთად ისინი, ბუნებრივია, გადადიან მასწავლებლის განვითარების უფრო ღრმა დონეზე.

18. *უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) ჩარჩო და ზედამხედველობა.*

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი (TPDC) ზედამხედველობას უწევს უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) განხორციელებას, ძირითადად, ახალი სკოლის მოდელის საშუალებით, მაგრამ ნებისმიერი სხვა ხელმისაწვდომი ინიციატივის დახმარებით, როგორიცაა 13 საგანმანათლებლო ჰაბი და საქართველოში კარგად დამკვიდრებული ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და პროგრამების ჩართვით, რომლებიც სპეციალიზირებულია მასწავლებლების მომზადებასა და მასწავლებლის მხარდაჭერაში. მათ შორის არის საქართველოს ინგლისური ენის მასწავლებელთა ასოციაცია (ETAG), მშვიდობის კორპუსი და აშშ–ს საელჩოს სხვა პროგრამები, ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის პროექტი (MCCP), ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად (TLG), პროგრამა ინგლისური ენა სამოქალაქო განათლების გამოყენებით (ELCE), და სხვა.

ნებისმიერმა ორგანიზაციამ ან პროგრამამ, რომელიც აპირებს შემოგვთავაზოს ტრენინგი ან კურსი, რომელიც მიზნად ისახავს დაეხმაროს მასწავლებლებს, მიაღწიონ ერთ ან მეტ კომპეტენციას უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) ჩარჩოს სიიდან, უნდა შეიმუშაოს სწავლის მიზნები, რომლებიც მიზნად ისახავს უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) სტრუქტურის ერთი ან მეტი სპეციფიკური კომპეტენციის მიღწევას. მასწავლებლებს, რომლებიც აპირებენ კონკრეტული ტრენინგის გავლას, ამ კონკრეტული ტრენინგის სასწავლო მიზნები უნდა ჰქონდეთ შერჩეული, თავიანთი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით.

ეს სისტემა მიზნად ისახავს გამჭვირვალობისა და ეფექტურობის გაზრდას და ბიუროკრატიის შემცირებას, რათა ტრენინგების აკრედიტაციის/დამტკიცების ძირითადი კრიტერიუმები იყოს მკაფიოდ განსაზღვრული სასწავლო მიზნები, რაც ხელს შეუწყობს სწავლების პროცესის დაგეგმვას უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) ჩარჩოში. სასწავლო გეგმის დასამტკიცებლად/აკრედიტაციის მისაღებად არ უნდა იყოს საჭირო დამატებითი დოკუმენტაცია, გარდა სასწავლო მიზნების, მოკლე სასწავლო გეგმისა და სამიზნე აუდიტორიის აღწერისა. ყველა ტრენინგში უნდა იყოს გამოყენებული წინასწარი და შემდგომი შეფასებისა და უკუკავშირის ფორმები, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის ნაწილი, რათა ყველა პროვაიდერის მიერ შემოთავაზებული უწყვეტი პროფესიული განვითარება (CPD) გაუმჯობესდეს.

*სურათი 5. ბრიტანეთის საბჭოს უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) ჩარჩო*




წყარო: www.teachingenglish.org.uk

როდესაც სტაჟიორი მასწავლებლები დაასრულებენ 60-კრედიტიან საკვალიფიკაციო კურსს, ისინი უნდა იყვნენ ინფორმირებული და ესმოდეთ კომპეტენციები. როდესაც ისინი იზრდებიან როგორც მასწავლებლები, უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) მეშვეობით, ისინი გაივლიან უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) ჩარჩოს მომდევნო ეტაპებს და საბოლოოდ მიაღწევენ იმ დონეს, როცა შეძლებენ კომპეტენციების გამოყენებას და სწავლების პრაქტიკაში ინტეგრირებას.

19. *ხარისხის უზრუნველყოფა* – ხარისხის უზრუნველყოფა გადაჯაჭვულია უწყვეტ პროფესიულ განვითარებასთან (CPD) და ის დაფუძნებულია სკოლებზე/სკოლის კლასტერებზე. სკოლებს, რომლებსაც არ ჰყავთ მენტორი მასწავლებელი თავიანთ სკოლაში ან კლასტერში და სადაც სკოლის ხელმძღვანელობა არ არის ჩართული სკოლის ხელმძღვანელების უწყვეტ პროფესიულ განვითარებაში (CPD), უნდა ჰქონდეთ წვდომა მოწვეულ მწვრთნელებზე ან ახალი სკოლის მოდელის სკოლების და 13 საგანმანათლებლო ჰაბის მეშვეობით.

**ხარისხის უზრუნველყოფასთან (ხარისხის უზრუნველყოფის) დაკავშირებული რეკომენდაციები:**

გახსენით დამატებითი ახალი სკოლის მოდელის განმახორციელებელი სკოლები, ასევე 13 საგანმანათლებლო ჰაბი, განსაკუთრებით სოფლად. ეს უკვე რეკომენდებულია ბრიტანეთის საბჭოს ანგარიშში „გზა სრულყოფილებისკენ“ (ბრიტანეთის საბჭო, 2019).

20. *უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) ინდივიდუალური გეგმები და მიზნები.* სასწავლო წლის დაწყებისთანავე, თითოეული მასწავლებელი აფასებს თავის უწყვეტ პროფესიულ განვითარებასთან (CPD) დაკავშირებულ საჭიროებებს და ადგენს უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) მოკლე გეგმას, რომელიც მოიცავს სასწავლო მიზნების მოკლე ჩამონათვალს.

**რეკომენდაციები უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) ინდივიდუალურ გეგმებთან დაკავშირებით:**

ა. თითოეული მასწავლებლის ინდივიდუალური უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) ერთწლიანი გეგმა უნდა მოიცავდეს 1–3 მარტივ პუნქტს. მასწავლებლებს არ უნდა მოუწოდონ, შეიმუშაონ ძალიან ვრცელი, რთული ან ძალიან ღრმა ინდივიდუალური უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) გეგმები. ამგვარი გეგმების მიზანი მასწავლებლებისთვის დამატებითი სამუშაოს შექმნა არ არის, არამედ მათი დახმარება, რათა გაამახვილონ ყურადღება იმაზე, რაც მათ რეალურად სჭირდებათ და ითხოვონ და მიიღონ დახმარება, ასევე შეარჩიონ მათთვის შესაფერისი სასწავლო ღონისძიებები და კურსები.

ბ. რეკომენდებულია, რომ ახალი სკოლის მოდელის საბუთები და ფორმები იყოს რაციონალური და გამარტივებული იმისათვის, რომ გამარტივდეს და მინიმუმამდე დავიდეს მასწავლებლების “დაკავებულობა”. უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) ინდივიდუალური სასწავლო გეგმები შეიძლება გახდეს ახალი სკოლის მოდელის საბუთების ნაწილი, რათა მასწავლებლებმა ნაკლები დრო დახარჯონ საბუთებზე. ამ სტრატეგიის შემუშავებისათვის ჩატარებული კვლევიდან ერთ–ერთი დასკვნა იყო ის, რომ მასწავლებლებისთვის ახალი სკოლის მოდელის ფორმები საკმაოდ რთული და შრომატევადი იყო, ამიტომ რეკომენდებულია მათი შეძლებისდაგვარად გამარტივება.

გ. ეს სასწავლო გეგმები უნდა შემოწმდეს, მოხდეს მათი პილოტირება და შემდეგ შეფასდეს მათი ეფექტურობა მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) პროცესის ხელშეწყობაში, მათი გამოცდისა და გადაფასების შემდეგ, გეგმის განხორციელება შეიძლება დაიხვეწოს და გაუმჯობესდეს უკუკავშირის საფუძველზე.

დ. ხარისხის უზრუნველყოფა უნდა ეფუძნებოდეს უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) აქტივობების შემდგომ საქმიანობას, დაკვირვებებსა და რეფლექსიებს. როდესაც მასწავლებლები მიაღწევენ სწავლის მიზნებს უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) ინდივიდუალური გეგმიდან, უფლებამოსილი მწვრთნელი/მენტორი/ფასილიტატორი გაესაუბრება მათ და დააკვირდება გაკვეთილებს სტანდარტული ჩამონათვალის გამოყენებით. ეს აისახება გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაგროვილ კრედიტქულებში უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) ჩარჩოს კომპეტენციების გათვალისწინებით. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა (TPDC) უნდა განსაზღვროს კრედიტების რაოდენობა, რომელიც აუცილებელია მასწავლებლის შემდეგ საფეხურზე გადასასვლელად (პრაქტიკოსი, უფროსი, წამყვანი, მენტორი).

ე. რეკომენდებულია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის ყველა ღონისძიება ჩატარდეს მწვრთნელების/ზედამხედველების/ფასილიტატორების/მენტორების მიერ, რომლებიც გაეცნენ იმ მასწავლებლის მდგომარეობას, მუშაობასა და გამოცდილებას, რომელსაც ისინი აფასებენ და და დახმარებას სთავაზობენ. უწყვეტ პროფესიულ განვითარებას (CPD) და ხარისხის უზრუნველყოფას, რომელიც დაფუძნებულია სანდო ურთიერთობებსა და დახმარებაზე და არა შემოწმების კულტურაზე, დიდი მნიშვნელობა ექნება მასწავლებლების მოტივირებისა და მხარდაჭერისთვის.

ვ. მენტორებს/ფასილიტატორებს სჭირდებათ უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) საკუთარი პროგრამა, რათა განავითარონ გაკვეთილზე დაკვირვების შესაბამისი უნარ-ჩვევები, რის შედეგადაც შეძლებენ სათანადო კომენტარების გაკეთებას და უკუკავშირს, და არა ფორმალურ აღრიცხვას.

ზ. არ არის რეკომენდებული მასწავლებელთა კონკურსების ან ჯილდოს სისტემის შექმნა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მაღალი და დაბალი მიღწევების მქონე სკოლებსა და მასწავლებლებს შორის არსებული სხვაობის გაღრმავება. მცირე რესურსებისა და დაბალი მიღწევების მქონე მასწავლებლები უფრო მეტად ისარგებლებენ მხარდაჭერით, რომელიც შეესაბამება მათ საჭიროებებს და აკმაყოფილებს მათ სათანადო მოთხოვნებს.

## 6.4 მიზანი 4: მასწავლებლის ინგლისური ენის ცოდნის გაუმჯობესება (განხორციელებული ენის ფლობის დონის საერთო ევროპული ჩარჩოს (CEFR) დონეების შესაბამისად)

მოსწავლეების ინგლისური ენის ცოდნის დონის ამაღლების მსგავსად, მასწავლებელთა ინგლისური ენის დონის გაუმჯობესებისას მნიშვნელოვანია გვესმოდეს ურთიერთმიმართება სასწავლო გეგმასა და მითითებებს, შეფასებასა და შედეგებს შორის, როგორც ეს ნაჩვენებია ნახაზში 6:

*ნახაზი 6: მასწავლებლის შედეგების ურთიერთმიმართება*



1. ინგლისური ენის მასწავლებელთა მომზადების პროგრამა სტუდენტ მასწავლებელთა (PRESETT) – ყველა მასწავლებელს აქვს კვალიფიკაციის მიღებისას მინიმუმ B2 დონე 1–ლი ფაზის განმავლობაში და C1 დონე მე–2 ფაზის განმავლობაში. სტუდენტი მასწავლებლების ენის კომპეტენცია მოწმდება პროგრამის დაწყებისთანავე და თუ მათ არა აქვთ სათანადო დონე, ისინი გაივლიან ინგლისურის ცოდნის ამაღლების კურსებს და შემდეგ, პროგრამის დასასრულს, კვლავ შემოწმდება მათი ცოდნა. ყველა მასწავლებლისთვის არის ინგლისური ენის სტანდარტიზებული გამოცდა.

**ინგლისური ენის სტუდენტ მასწავლებელთა მომზადების პროგრამასთან დაკავშირებული რეკომენდაციები:**

ეს კურსები შეიძლება იყოს ორგანიზებული მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის (TPDC) მიერ, ან მასწავლებლებს შეუძლიათ აირჩიონ ინგლისური ენის დამოუკიდებელი კურსები, მაგალითად, ბრიტანეთის საბჭოში ან სხვა პროვაიდერებთან, ან ისწავლონ დამოუკიდებლად. თუმცა, მათ კვლავ უნდა ჩააბარონ ტესტი მასწავლებლის კვალიფიკაციის მიღებამდე. საჭიროა შემუშავდეს სტანდარტული ტესტირების ინსტრუმენტი.

2. ინგლისური ენის სტუდენტ მასწავლებელთა მომზადების პროგრამის (PRESETT) სასწავლო გეგმა სტანდარტიზებულია და მასწავლებელთა პედაგოგების ცოდნა გაუმჯობესებულია.

**ინგლისური ენის სტუდენტ მასწავლებელთა მომზადების პროგრამის (PRESETT) სასწავლო გეგმასთან დაკავშირებული რეკომენდაციები:**

გადახედეთ სწავლების კონტექსტს/სიტუაციებს იმ დაწესებულებებში, რომლებიც გვთავაზობენ 60–კრედიტიან პროგრამას. რა მეთოდებს იყენებენ მასწავლებლის პედაგოგები/ლექტორები? სჭირდებათ თუ არა მათ ცოდნის გაუმჯობესება? მასწავლებელთა განათლება უნდა განხორციელდეს მოსწავლეებზე ორიენტირებით, კომუნიკაციური მიდგომების გამოყენებით. ყველა ამ ინსტიტუტის სასწავლო გეგმა უნდა იყოს მისადაგებული და სტანდარტიზებული (ყოველ შემთხვევაში ინგლისურისთვის). ამჟამად, 60–კრედიტიანი კურსი არ მოიცავს ინგლისური ენის ცოდნის გაუმჯობესებას სტუდენტ მასწავლებლებისთვის. თუ სტაჟიორი არ გაივლის ტესტს საჭირო დონეზე პროგრამაში შესვლისას, მან უნდა გაიაროს ინგლისური ენის გასაუმჯობესებელი კურსები და დასრულების შემდეგ ჩააბაროს გამოცდა. ეს პროცესი ნაჩვენებია ნახაზში 7. ინსტრუმენტი უნდა იყოს საკმარისად თანმიმდევრული და პრაქტიკული, რათა გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა ადგილას.

3. ინგლისური ენის მოქმედ მასწავლებელთა ტრენინგი (INSETT) – 4 წლის განმავლობაში, ყველა ამჟამინდელი მასწავლებელი აღწევს ინგლისური ენის ფლობის დონის საერთო ევროპული ჩარჩოს (CEFR) B2 დონეს.

4. უწყვეტი პროფესიული განვითარება (CPD) მოიცავს ინგლისური ენის სავალდებულო გაუმჯობესებას მასწავლებლებისთვის, რათა მიაღწიონ მინიმუმ B2 დონეს.

**უწყვეტ პროფესიულ განვითარებასთან (CPD) დაკავშირებული რეკომენდაციები:**

უნივერსიტეტებს გარკვეული როლი უნდა ჰქონდეთ მასწავლებლებისთვის ინგლისური ენის გასაუმჯობესებელი კურსების შექმნის საქმეში (მათ შორის ონლაინ რეჟიმში). გარდა ამისა, ინგლისური ენის ცოდნის გასაუმჯობესებელი კურსების ორგანიზება შესაძლებელია ონლაინ რეჟიმში, ბრიტანეთის საბჭოს პლატფორმისა და მასწავლებელთა ონლაინ საზოგადოების გამოყენებით. სადაც შესაძლებელია, უნდა მოეწყოს ინგლისური ენის პრაქტიკული, პირისპირ კლასები.

5. ელექტრონული სწავლება. უწყვეტი პროფესიული განვითარება (CPD) მოიცავს ელექტრონულ სწავლებასა და შესაბამისი ტექნოლოგიის გამოყენებას: მაგალითად, ტელეფონები და მობილური აპლიკაციები, თუ ეს არის ყველაზე ადვილად ხელმისაწვდომი. მასწავლებლებს შეუძლიათ, მობილური ტელეფონით მიიღონ ინგლისური ენის სასწავლო მასალები.

*სურათი 7: ინგლისური ენის სტუდენტ მასწავლებელთა მომზადების პროგრამაში (PRESETT) ინგლისური ენის კომპეტენციასთან დაკავშირებული პროცესი*

## 6.5 მიზანი 5: დიდი და მცირე მიღწევების სკოლებს შორის განსხვავების შემცირება – სოფლის სკოლები და უმცირესობების სკოლები მოსწავლეთა შედეგების მიხედვით ეწევიან ქალაქის სკოლებს.

ამ მიზნის მიხედვით, სკოლები, რომლებიც მდებარეობს მოშორებულ რაიონებში, ეთნიკური/ენობრივი უმცირესობების დასახლებების და ნებისმიერი სხვა სკოლა, რომლებსაც აქვთ ქვემოთ ჩამოთვლილი პრობლემები და ამგვარად მოსწავლეთა გაცილებით დაბალი აკადემიური შედეგები, ვიდრე ქვეყნის საშუალო მაჩვენებლებია, მიიღებენ მიზნობრივ მხარდაჭერას მათი შედეგების გაუმჯობესების მიზნით, ამ ნაწილში შემოთავაზებული რეკომენდაციების საშუალებით.

ამ სტრატეგიის მთავარი გამოწვევების სამი მიმართულება: მოსწავლეების ინგლისური ენის დონე, მასწავლებლის ინგლისური ენის დონე და მასწავლებელთა სწავლების უნარი – უფრო მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სოფლად/რეგიონებში. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ სოფლად, მოშორებულ და უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მასწავლებლებმა მიიღონ დამატებითი დახმარება ახალი სკოლის მოდელისა და ინგლისური ენის მასწავლებლის უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) პროგრამის ფარგლებში.

ამ სტრატეგიის მომზადების ფარგლებში ჩატარებული დოკუმენტური შესწავლისა და კონსულტაციების საფუძველზე დადგინდა, რომ საქართველოში განათლების კონტექსტის ძლიერი მახასიათებელია სხვაობა ქალაქისა და სოფლის სკოლებს შორის მოსწავლეთა შედეგების, ასევე მასწავლებლების ნაკლებობისა და კვალიფიკაციის თვალსაზრისით. ეს საკითხი სხვა საკითხებს შორის განიხილება ლესტერის უნივერსიტეტის ანგარიშში "გზა სრულყოფილებისკენ". სოფლის სკოლები ზოგადად არახელსაყრელ მდგომარეობაშია და ეს უფრო ჩანს განსაკუთრებით იქ, სადაც ეს ეხება კონკრეტულად ინგლისური ენის სწავლებას, სხვა საგნებთან შედარებით, მთელი რიგი სოციალური და ეკონომიკური მიზეზების გამო. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ ამ სტრატეგიამ შექმნას სტრუქტურა სოფლისა და ქალაქის სკოლებს შორის არსებული სხვაობის შესამცირებლად, რათა ხელი შეუწყოს საქართველოში განათლების თანასწორობის მიღწევას.

ქალაქის სკოლებთან შედარებით სოფლის/უმცირესობებით დასახალებული ადგილების სკოლებში ინგლისური ენის თვალსაზრისით გამოვლინდა შემდეგი ძირითადი პრობლემები:

1. მოსწავლეების ინგლისური ენის კომპეტენციის დაბალი დონე;
2. მასწავლებელთა ინგლისური ენის კომპეტენციის დაბალი დონე;
3. სწავლების ნაკლებად თანამედროვე მეთოდები, რომლებსაც იყენებენ მასწავლებლები;
4. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) ნაკლები რესურსი, უფრო შეზღუდული ინტერნეტი და იმ მასწავლებლების სიმცირე, რომლებიც იყენებენ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს (ICT);
5. ნაკლები რესურსი ზოგადად;
6. მოსწავლეთა დაბალი დასწრებისა და დაგვიანების მაჩვენებლები, განსაკუთრებით საშუალო სკოლაში;
7. მასწავლებლების მიერ ტრენინგებზე პირადად დასწრების დაბალი შესაძლებლობა;
8. მოსწავლეებისთვის ინგლისური ენის კერძო მასწავლებლებთან სწავლის შეზღუდული შესაძლებლობები (მოსწავლეებს არ უნდა უწევდეთ კერძო მასწავლებლებთან სიარული სკოლის საგნებში წარმატების მისაღწევად, მაგრამ ფინანსური რესურსი და კერძო სწავლებისა და ინგლისური ენის კერძო კურსებზე მარტივი წვდომა დიდ უპირატესობას აძლევს ქალაქის მოსწავლეებს და/ან მოსწავლეებს უფრო შეძლებული ოჯახებიდან).

ეჭვგარეშეა, რომ ამ სკოლებში მეტი და უფრო დეტალური გამოწვევებია, თუმც,ა ზემოთ ჩამოთვლილის ზოგადი გადაწყვეტაც კი დაეხმარება ქალაქისა და სოფლის სკოლებს შორის სხვაობის შემცირებას. ასევე ეჭვგარეშეა, რომ 2–7 გამოწვევები დაკავშირებულია 1–ლ გამოწვევასთან, შესაბამისად, ამ საკითხების მოგვარება, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას.

მიზანი 5 შეიძლება დაიყოს შემდეგ კომპონენტებად:

1. სოფლის/უმცირესობების სკოლები აღიარებულია და იდენტიფიცირებულია, როგორც ასეთი. ამის საფუძველზე მათ უნდა ჰქონდეთ მიზნობრივი მხარდაჭერის უფლება.
2. სკოლებმა თავად უნდა განსაზღვრონ თავიანთი საჭიროებები და გამოწვევები. მიზანშეწონილია მონაწილეობითი გადაწყვეტილების მიღება. სავარაუდოდ, თითოეული სკოლის გამოწვევები უნიკალურია და ერთიანი მიდგომა შეიძლება არ იყოს ეფექტური. თუ სასკოლო საზოგადოებებს მიეცემათ მოქმედების თავისუფლება, ისინი ბევრად უფრო მეტად აიღებენ თავიანთ თავზე საკუთარი სკოლის გაუმჯობესების პროცესის მართვას (რა თქმა უნდა. მხარდაჭერით).
3. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) პრობლემების გადაწყვეტა მიმართულია კონკრეტული სკოლების სიტუაციებზე და ხელმისაწვდომია. ეს ნიშნავს მასწავლებლებში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) უნარების ნაკლებობის, სკოლებში კომპიუტერისა და სხვა ტექნიკის ნაკლებობის, მითუმეტეს მოსწავლეების სახლებში; ასევე (პოტენციურად) ინტერნეტის დაბალი სიჩქარის ან ხარჯისა და პრობლემების გადაჭრის გზების დაგეგმვისას მონაცემთა ნაკლებობის გათვალისწინებას. გარდა ამისა, ალბათ ეს არის სკოლები და მასწავლებლები, რომელთაც ყველაზე მეტად გამოადგებათ ონლაინტრენინგები და რესურსები, რადგან შეიძლება იყვნენ მოშორებულ ადგილებში.
4. ინდივიდუალურად მორგებული ტრენინგები და მიწოდების ფორმატი განკუთვნილია სკოლების სპეციფიკური საჭიროებისთვის. მაგალითად, კონკრეტული სკოლების კონტექსტიდან გამომდინარე, შეიძლება შეირჩეს დისტანციური/ონლაინ ან პირისპირ ტრენინგები (თუ პირისპირ არის შესაძლებელი), ტრენინგის კონკრეტული თემები უნდა გადაწყდეს სკოლებთან კონსულტაციით და მათი სპეციფიკური საჭიროებიდან გამომდინარე.
5. სოფლის/უმცირესობების სკოლები არის სამიზნე ჯგუფი სკოლის ხელმძღვანელების უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის (CPD). ამ სკოლებში მასწავლებლები ყველაზე მეტად სკოლის ხელმძღვანელობას უნდა დაეყრდნონ, რადგან შესაძლოა სხვა რესურსების ნაკლებობა იყოს. სკოლის ხელმძღვანელები უფრო მეტად იყენებენ მოძველებულ მიდგომებს, შესაბამისად, პრიორიტეტული იქნებიან უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის (CPD).

ზემოაღნიშნულის მისაღწევად, შემოთავაზებულია შემდეგი **რეკომენდაციები**:

ა. შეადგინეთ სია (ან განმარტება) იმისა, თუ რას წარმოადგენს მოშორებული, უმცირესობის ან სოფლის სკოლა, რომელსაც სჭირდება მხარდაჭერა.
ბ. ჩაატარეთ საჭიროებების შეფასება სკოლის დონეზე, ყურადღება გაამახვილეთ უფრო თვითშეფასების მეთოდზე და არა გარე შეფასებაზე, რომელიც მოიცავს ყველა სკოლის საზოგადოებას, სკოლის ხელმძღვანელებიდან მასწავლებლებამდე, მოსწავლეებამდე და მშობლებამდე ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების მეშვეობით.
გ. ჩაატარეთ ამ სკოლებში უწყვეტი პროფესიული განვითარების (CPD) სიტუაციური ანალიზი: გაარკვიეთ ძირითადი გამოწვევები და საჭიროებები; უზრუნველყავით ამ სკოლების ინგლისური ენის თითოეული მასწავლებელი კომპიუტერითა და ინტერნეტით (არ არის აუცილებელი მათი პირადი მოხმარებისთვის). სხვა რეკომენდებული ტექნიკური პარამეტრებია ხმის გამაძლიერებლები, რომლებიც მიესადაგება ლეპტოპს ან მობილურ ტელეფონს, პროექტორი, პრინტერი.
დ. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა (TPDC) პროფესიული განვითარების პროგრამაში პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს ამ სკოლებს პირისპირ ან ონლაინ ტრენინგების ჩასატარებლად.
ე. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა (TPDC) უნდა შეიმუშაოს ან მიიღოს არსებული (ან უზრუნველყოს დამოუკიდებელი) ინგლისური ენის გასაუმჯობესებელი კურსი ყველა მასწავლებლისთვის, ვისაც ეს სჭირდება, პირისპირ ან ონლაინ რეჟიმში.
ვ. ახალი სკოლის მოდელის დანერგვა უნდა მოხდეს სოფლად და უმცირესობებით დასახლებულ ტერიტორიაზე. იგივე რეკომენდაციაა 13 საგანმანათლებლო ჰაბისთვის.

ზ. ყურადღება გაამახვილეთ სოფლის/უმცირესობათა სკოლების ხელმძღვანელების უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე (CPD), რათა მათ უკეთ შეძლონ მასწავლებლების მხარდაჭერა.

თ. მას შემდეგ, რაც COVID-19-ით გამოწვეული პირობები შესაძლებლობას მოგვცემს, ხელახლა დაიწყეთ მშვიდობის კორპუსის პროგრამა და გაზარდეთ სოფლის/უმცირესობების სკოლებში მოხალისეთა რაოდენობა. თუმცა, არ არის რეკომენდებული პროგრამის გაფართოება სტუდენტი მასწავლებლების ხარჯზე, რომლებსაც აკადემიური წელი ჰქონდათ აღებული. ჩართული უნდა იყვნენ მხოლოდ გადამზადებული ტრენერ-მასწავლებლები.

ი. წაახალისეთ და მხარი დაუჭირეთ ასაკოვან მასწავლებლებს (და ყველა მასწავლებელს), რომ ისწავლონ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) გამოყენება კლასში და უწყვეტი პროფესიული განვითარების მიზნით(CPD).

კ. პრიორიტეტი მიანიჭეთ სოფლის და უმცირესობათა სკოლებს არაფორმალური განათლების მხარდაჭერისას: დაეხმარეთ სოფლის/უმცირესობების სკოლებს რესურსებით, რაც მათ საშუალებას მისცემს, შექმნან ინგლისური ენის კლუბები და მსგავსი კლასგარეშე სასკოლო საქმიანობა. ეს უნდა მოიცავდეს მასწავლებლის უწყვეტ პროფესიულ განვითარებას (CPD) არაფორმალური განათლებისთვის, ასევე სკოლის ხელმძღვანელების უწყვეტ პროფესიულ განვითარებას (CPD), ასევე ტექნოლოგიურ მხარდაჭერას.

## 7. შეზღუდვები

მიუხედავად იმისა, რომ ამ სტრატეგიის შემუშავება იყო საკმაოდ ეფექტური და ამავდროულად საკონსულტაციო პროცესი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის (TPDC), შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისა (NAEC) და მასწავლებლების რიგი წარმომადგენლების დროული მონაწილეობით, პროცესი განხორციელდა საკმაოდ სწრაფად, შეზღუდულ დროში. ამრიგად, მიღებული სტრატეგია, მიუხედავად იმისა, რომ მოიცავს ყველა აუცილებელ მიმართულებას და აყალიბებს კონტექსტს განხორციელების საფეხურებისათვის, არ წარმოგვიდგენს განხორციელების ყველა დეტალს. განხორციელების ეტაპზე ყველა დეტალი უნდა იყოს საგულდაგულოდ დაგეგმილი ყველა შესაბამისი უწყების მიერ. კონკრეტულად მოსალოდნელია, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი (TPDC) შეიმუშავებენ გეგმას ახალი სკოლის მოდელში ახალი სტრატეგიის შესატანად, მათი გამოცდილების გამოყენებით. ყველა დეტალი, რომელიც ეხება სასწავლო გეგმას (მაგალითად, როგორ დავნერგოთ პროექტზე დაფუძნებული სწავლება (PBL) და სხვა საგნების კონცეფციები ინგლისური ენის სასწავლო გეგმაში და სხვა სასწავლო გეგმის კომპონენტები, როგორიცაა ლიტერატურა), ასევე უნდა შესრულდეს განხორციელების ეტაპზე ადგილობრივი ექსპერტების მიერ, რომლებიც კარგად ერკვევიან კონტექსტში.

## 8. დასკვნა

ეს სტრატეგია შემუშავდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან (TPDC), შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრთან (NAEC) და დაინტერესებულ მხარეთა მრავალ და სხვადასხვა ჯგუფთან მჭიდრო კონსულტაციით, მათ შორის არიან ინდუსტრიის ექსპერტები, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები და მასწავლებელთა რამდენიმე ჯგუფი. ფართომასშტაბიანი კვლევა ჩატარდა ინგლისური ენის სწავლებაზე ზოგად განათლებაში საქართველოსა და რეგიონში. ეს სტრატეგია ემყარება ბრიტანეთის საბჭოს მკვლევართა მიერ შემუშავებულ უამრავ რეკომენდაციას, რომლებიც ეფუძნება ინგლისური ენის ეფექტურ სწავლებას მრავალ ქვეყანაში (Hayes, 2014), (Rixon, 2013).

# გამოყენებული ლიტერატურა


- Albania Ministry of Education and Sport. (2016). Language Education Policy Profile: Albania. Country Report. Tirana.
- Alkan, M. F., & Kartal, S. (2018). Comparison of Teaching English as a Foreign Language in Turkey with Denmark, Hungary, and Portugal. Turkish Online Journal of English Language Teaching(3), 10-23.
- British Council. (2019). Pathways to Excellence: Researching English language teaching in secondary schools in Georgia . University of Leicester.
- Canh, L. V., & Renandya, W. A. (2017). Teachers' English Proficiency and Classroom Language Use: A Conversation Analysis Study. Sage Journals, 48, 67-81.
- Clinton, J. M., Anderson, M., Dawson, G., Dawson, A., Bolton, S., & Mason, R. (2016). Systems, frameworks and measures of teacher effectiveness. Melbourne, Australia: Centre for Program Evaluation.
- Estonian Ministry of Education and Research. (2010). Language Education Policy in a Changing Society: Shaping the Future. Strasbourg: Council of Europe Language Policy Division.
- Ferati, F., Grover, C., Vattoy, K.-D., Lourenco, M., Mourao, S., Inan-Karagul, B., & Dogan, Y. (n.d.). Learning English in European countries: Albania, Belgium, Norway, Portugal and Turkey. Language Issues, 28(2).
- Hayes, D. (2014). Factors influencing success in teaching English in state primary schools. London: British Council.
- Kelly, K. (2019). A CONCEPT FOR ENGLISH AS A MEDIUM OF INSTRUCTION IN GEORGIA. British Council.
- Mackenzie, A. S. (2019). English Language Learning and Teaching in Vocational Education in Georgia: A Scoping Study. British Council.
- Madzgalj, V., & Kandybovich, S. (2018). Teaching for Success: Project Implementation, Completion & Results Report. British Council Montenegro.
- OECD. (2009). Creating Effective Teaching and Learning Environments First results From tAlis. OECD.
- Phelps, C. (2019). VET sector Georgia Continuous Professional Development scheme: Recommendations . British Council.